სპორტი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 აგვისტო 2004 №182 (2203) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი და მკვდარი

ვაჟეში ბურთი და ხალხი აწვალეს, ბოლნისში და ეცხეთაში ასიპოვნეს

ვენგერისთვის ვიეირა წარსული და წასულია

დროა, პატრიკ ვიეირამ არჩევანი გააკეთოს, თუ ჩვენთან აღარ უნდა, კარი ღიაა, წავიდეს, კლუბები ალბათ მოილაპარაკებენ — თქვა გუშინ არსენ ვენგერმა და „არსენალის“ ფრანგი კაპიტნის „რეალში“ გადასვლა ალბათ რეალობად იქცევა.

„არსენალმა“ კი გუშინ უვიეიროდ 3:1 მოუგო ინგლისის სუპერთასი „მანჩესტერ იუნაიტედს“. ვენგერის სამწყსოში გაიბრწყინა ესპანელმა ხოსე რეიესმა, რომელმაც ერთი გაიტანა და ორ გოლშიც წილი დაიდო.

ვენგერმა, „არსენალში“ რეიესის ხანა იწყებაო, თქვა ნამატჩევს და მერე ვიეირაზე ზემოთქმულიც მიაყოლა: რეიესის თუ იწყება და ვიეირასი ალბათ მთავრდება...

REUTERS კარდიფიდან

ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

გიორგი ადამიას (№7) დარტყმულმა ჯერ ხარიხა შეაზანზარა, მერე ძელი და ბურთს ვლადიმერ გოჩაშვილმა (№10) მიუსწრო

არც დინამოა ვისლა და არც ვიტ ჯორჯია ბატე

ხალხმა და სტუმარმა თამაში ნახეს



მცხეთა. 8 აგვისტო. 17 საათი. არმაზი. 2 500 (ტევადობა 3 000)

0:1 კაშია (21), 0:2 მელქაძე (23), 1:2, 2:2 გოჩაშვილი (35,48), 2:3 კაკალაძე (83)

ვიტ ჯორჯია	დინამო
ბედიაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, გველესიანი, პ. დათუნაიშვილი (კუპრეიშვილი 32), დიღმელაშვილი (კვახაძე 72), ლ. ნოზაძე, ადამია (სახოკია 67), მარცვალაძე, ვ. გოჩაშვილი *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მალიჩავა, ებანოიძე, ე. მერებაშვილი **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე	ზოიძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი (ალადაშვილი 32), ხმალაძე, კაშია, კანდელაკი, ბურდული (გრიგალაშვილი 70), ნემსაძე (კაკალაძე 46), გოჩაროვი, მელქაძე *სათადარიგონი:* მამალაძე, გიგბური, დვალი **მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: კობიაშვილი (43), შაშიაშვილი (48), სალუქვაძე (75)

მსაჯები: ა. მუსკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე **დირექტორი:** ბ. ბურჯალიანი

კოგა ინასარიძე მცხეთიდან

მოსალოდნელი როგორიც იყო, მატჩი ისეთი გამოვიდა. დაძაბული, უშეღავათო, ბრძოლა მოედნის ერთი მტკაველისთვის, აშლილი ნервები, ტემპი... კიდევ მთავარი, გოლები, ხუთი გოლი და ხუთივე ხუთიანზე შესრულებული. თითქმის სავსე ტრიბუნა, ნორმალური მსაჯობა, ბევრიც სტუმარი — ფედერაცია-პროფლიგის ხელმძღვანელობითა და ნაკრების მწვრთნელებით დაწყებული, პრაღის „სლავიას“ მზირებით დამთავრებული. მოკლედ, კარგი თამაში იყო და ქომაგმა „არმაზი“ კმაყოფილმა დატოვა.

„ვისლასგან“ ნაგვემი „ვიტ ჯორჯია“ ახალი მწვრთნელის, ვლადიმერ ხაჩიძის ხელმძღვანელობით სახეცვლილი არ ითქმის, თუმც პოზიციაშეცვლილი ფეხბურთელებით კი შეეტოქა „დინამოს“. ამ ცვლილებებიდან თვალშისაცემი გოჩაშვილის ამპლუა იყო, თითქმის ყოველთვის ფლანგზე უკან, შუაში თუ წინ მოთამაშე ტანმაღალი მასპინძელი „დინამოსთან“ მოედნის ცენტრში ვიხილეთ საყრდენების, ნოზაძისა და დიღმელაშვილის წინ. გოჩაშვილი გამთამაშებლის ფუნქციებსაც ასრულებდა და ერთგვარად ცენტრალური თავდამსხმელისაც, აკი ორივე გოლიც მან გაიტანა.

„დინამოს“ თავკაცი გია გეგუჩაძე ამჯერად უფრო ფრთხილი იყო. მის ხელში აწყობილი 3-4-3 ტაქტიკური სქემა მცხეთაში შეიცვალა და 4-4-2 სახე მიიღო. წინ გოჩაროვი-მელქაძე; შუაში — კაშია, კანდელაკი, ნემსაძე, ბურდული; უკან — შაშიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, სალუქვაძე, ხმალაძე. სათქმელია, რომ კუნთის ტკივილის გამო „დინამოს“ აკლდა მარცხენაფლანგელი კვირკველია, საყრდენი კანკავა კი მოწამლულა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გეგუჩაძე ჭიჭვეიშვილის ტრავმამ აიძულა, მატჩის მიმდინარეობისას გუნდი რამდენჯერმე გადაეწყო. ჭიჭვეიშვილის ნაცვლად მოთამაშე ალადაშვილმა ადგილი მოედნის შუაში დაიკავა, შაშიაშვილმა ფლანგიდან სიღრმისკენ შეიწია, უკან კი კაშიამ დაიხია. გეგუჩაძემ, ცოტა არ იყოს, ფრანგული მოდელით ითამაშა, ოთხივე ჰაბეკი შუაში გაამწესა.

თამაში კი „ვიტ ჯორჯიას“ უპირატესობით დაიწყო და მასპინძლებს, კონკრეტულად მარცვალაძეს რომ ეყოჩაღა, გოლსაც გამორჩებოდნენ: ზოიძესთან თითქმის პირისპირ დარჩენილ თავდამსხმელს მეკარე ფეხებში ჩაუხტა და აღარ დაარტყმევინა. წუთის მერე ისევ მარცვალაძე გადიოდა პირისპირ, მაგრამ სალუქვაძემ ივარგა და ბურთი კუთხურზე გადაუგდო.

„დინამომ“ თამაში მალევე გამოასწორა და 21-ე წუთზე კაშიამ გაიტანა კიდეც. დაახლოებით 30 მეტრიდან მისი დარტყმული ზუსტი გამოდგა. დინამოელმა ბურთი თან მოჭრა, თან ერთ-ერთ მასპინძელ მცველს მოხვდა, კარის შორეული კუთხისკენ გაფრინდა და...

ორ წუთში უკვე მელქაძის ჯერი დადგა: საჯარიმოში შეჭრილმა ბურდულის გამოზომილი პასი მიიღო, ბედიაშვილს გასცდა და ანგარიშიც გაორდა.

„დინამოს“ საქმე თითქმის გაკეთებული რომ ჩანდა, მთლად ასეც არ ყოფილა. სტუმრებმა დაცვაში სწრაფად გადაწყობა ვერ მოახერხეს და საჯარიმოს ხაზთან მასპინძელთა დამრტყმელი უმეთვალყურეოდ დატოვეს. გოჩაშვილმაც აღარ დააყოვნა — შორეულ კუთხეში გაიტანა.

თამაში უფრო დაიძაბა, ერთიორჯერ ფეხბურთელებმაც გაიწიეს ერთმანეთისკენ, მაგრამ მალევე დაშოშმინდნენ. ამასობაში კი ტაიმიც დამთავრდა.

შესვენებიდან სამ წუთში ადამიამ ლამის ხარიხა ჩამოიღო. ჯარიმიდან მისი დარტყმული იმდენად ძლიერი იყო, ბურთმა ჯერ ხარიხა შეაზანზარა, კარის ხაზზე დაეცა, შემდეგ ისევ აფრინდა და ძელს მოხვდა, იქიდან ასხლეტილს კი გოჩაშვილმა მიუსწრო და კარში შეაგორა — ესეც 2:2.

სტიმულმომატებულმა „ვიტ ჯორჯიამ“ თავისი ირწმუნა და „დინამოს“ პრობლემაც არ დააკლო. ადამიას ჰქონდა ჩინებული საგოლე მომენტი, მაგრამ ბურთი სალუქვაძეს ვერ ააცილა, მერე გოჩაშვილსაც შეეძლო გატანა — დარტყმა დაახანა, მარცვალაძემაც ვერ იხერა.

„დინამომ“, ისევე როგორც მატჩის დასაწყისში, „ვიტ ჯორჯიას“ ცოტა ადროვა და თამაშიც ნელ-ნელა გაათანაბრა. კაკალაძეს სულაც ადრევე შეეძლო დინამოელთა დაწინაურება, მაგრამ ბედიაშვილთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დარტყმა ვეღარ შეძლო — ბურთი ძელს გაეხახუნა.

ეგ არაფერიო და, კაკალძემ ორიოდ წუთში გამარჯვებისა გაიტანა: კაშიას წამოწყებული შეტევა გრიგალაშვილმა კაკალაძის მისამართით გონივრული პასით განაგრძო, თავდამსხმელის დარტყმული კი მეორე ცდაზე უნაკლო გამოდგა — 2:3.

„ვიტ ჯორჯია“ ანგარიშის გამთანაბრებელი აღარ ჩანდა. „დინამომაც“ მარწუხებს მოუჭირა და მასპინძლების აგრესიულობა იქვე ჩააცხრო. თავად სტუმრებს კი ორსამჯერაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ ბოლოსკენ რაღაც უმარილოდ უტევდნენ.

გია გეგუჩაძე: რთული თამაში იყო, თუმც სხვანაირს არც ველოდით. ამ მოგებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მიხარია, რომ მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულეთ. თამაშის ხარისხი უკეთესი რომ ყოფილიყო, მთლად კარგი იქნებოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ვიცოდით, ამ მატჩს ჩეხური „სლავიას“ მწვრთნელი რომ ესწრებოდა, თუმც ჩვენ მისთვის არაფერი დაგვიმალავს. ჭიჭვეიშვილის ტრავმა რამდენად სერიოზულია, ხვალ გამოჩნდება, მას ექიმი გასინჯავს. დათომ მუხლი დაიზიანა. კვირკველია და კანკავა ჩეხეთში აუცილებლად წამოვლენ მაგრამ ახლა ვერ ვიტყვი, ითამაშებენ თუ ვერა. ახალაია და რომერო თბილისში დარჩებიან. რომერო ჯერაც ვერ ვარჯიშობს, ახალაიამ კი ძუნძული გუშინ დაიწყო.

ვლადიმერ ხაჩიძე: წავაგეთ და, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. ბევრი შეცდომა დავუშვით, რაც მეტოქემ არ გვაპატია. ადამია და დიღმელაშვილი დაიღალნენ და შეცვლა თავად ითხოვეს. საერთოდ კი, ისეთი ტემპით, როგორიც დღეს საქართველოშია, ევროპაში აღარავინ თამაშობს, ამიტომაც ჩვენი „ვისლასთან“ 2:8 მარცხი გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო...

ხაჩიძის ამ სიტყვების მერე პრესკონფერენცია აღარ გაგრძელებულა, ჟურნალისტებმა იქაურობა დატოვეთ.



ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

ეს დინამო, ის დინამო...

ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

გუშინდელ „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ პრაღის „სლავიას“ მწვრთნელის თანაშემწე *მარტინ ზიდალი* ესწრებოდა ოპერატორთან ერთად.

„დინამოს“ თამაშის დასაზვერად მოვლენილმა ზიდალმა რა ჩაინიშნა, ბუნებრივია, ჩვენთვის არ უთქვამს, ეს კია, ცალკე ოპერატორს, კამერას ბურთს რომ აყოლებდა და წამით არ დაუსვენია, ცალკე კი მწვრთნელს კალამი არ გაუჩერებია, სტადიონის ლოჟაში მყოფიც ყველამ შენიშნა.

— თბილისში გუშინ ჩამოვედით და ხვალ უკან მივფრინავთ, მწვრთნელს საჭირო ინფორმაცია დროულად უნდა ჩავუტანო — გვითხრა მარტინ ზიდალმა — 12 აგვისტოს მატჩამდე ამ თამაშის ფირს რამდენჯერმე ვნახავთ და „დინამოზე“ ალბათ მეტ წარმოდგენას შევიქმნით, ვიდრე ახლა, „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩზე დამსწრე.

— კი მაგრამ, აქედან, ტრიბუნიდან უკეთ არ ჩანს თამაში?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ფირს როგორც გვინდა, ისე დავატრიალებთ, ეკრანზე ყოველი წვრილმანი გამოჩნდება. აქ კი ზოგადი ინფორმაცია შევაგროვე.

— და როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მომავალ მეტოქეზე?

— ბევრს არ გეტყვით. კარგი, ახალგაზრდული გუნდია. თბილისში ორი წლის წინ „ლიბერეცთან“ ერთადაც ვიყავი, თუმც მას შემდეგ „დინამო“ საგრძნობლად შეცვლილა.

— ის „დინამო“ უკეთესი იყო თუ ეს „დინამო“ სჯობს?

— ვერ გეტყვით. კარგი ფეხბურთელები მაშინაც იყვნენ და ახლაც არიან. ისე კი, ამ „დინამოსთან“ თამაში, ვფიქრობ, უფრო იოლი იქნება.

— რატომ?

— ახლა „დინამოში“ უფრო მეტი ახალგაზრდაა.

— ამ მატჩში რომელი დინამოელი მოგეწონათ?

— კაშია.

— „სლავიაში“ ფინანსური პრობლემებიაო, მართალია?

— დიახ, მართლაც ძალიან გვიჭირდა. სამი თვე ხელფასი არ გქონდა, კლუბი გაკოტრების პირას იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.

— „დინამოსთან“ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებთ?

— სამწუხაროდ, ვერა. ტრავმების გამო ჰოლენაკი და გედეონი დაგვაკლდებიან. ორივეს კუნთი აწუხებს.

— „სლავია“ თბილისში როდის ჩამოვა?

— მატჩის წინა დღეს. ვერ გეტყვით, დელეგაცია რამდენკაციანი იქნება, თუმც ვინც იქნება, ყველა სასტუმრო „შერატონში“ იცხოვრებს.

ძოგა ინასარიძე

ბაბრი კეფლაძის ფოტო

გორელ მეკარე თამაზ ილურიძეს დიდი ჯაფა დაადგა

დავით გოგოლაძის მეორე არჩათვლილი გოლი

ბოლნისი. 7 აგვისტო. 17 საათი. თბილისი სტადიონი. 500 (ტევადობა 3 500)

სიონი 3:2 დილა

04 კ ხანიშვილი (10), 02 წუწუნავა (36), 12 გოგოლაძე (40), 22 ჩოხელი (70), 32 გოგოლაძე (89)

სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ოქროპირიძე, ცქვიტაია, ღამბაშიძე (ჩოხელი 62), ფეიქრიშვილი, ნ. ლაბაძე (გ. დოლიძე 75), გ. კილასონია, რუსია, მიქავა, გოგოლაძე (ალავიძე 90)	დილა: თ. ილურიძე, მგელაძე, ლომიძე, დ. ნადირაძე, ბალაშვილი, მასურაშვილი, კ. ხანიშვილი, შატაკიშვილი (კურტანიძე 88), რაზმაძე, ჯობაძე (დ. ხანიშვილი 46), წუწუნავა
სათადარიგო: ასლანაძე, ვ. უფრეხელიძე, ჩალაძე	სათადარიგო: მისურაძე, შუბითიძე, ქარქუშაშვილი, თომაშვილი, სულთანიშვილი
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია	მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: შატაკიშვილი (31), ლაბაძე (31), რაზმაძე (49), ნადირაძე (66), გ. კილასონია (68), კ. ხანიშვილი (78)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: დ. კვინიკაძე

გოლგოლაძე

რუსიშვილმა დანის პირზე გაიარა

ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან

არიქა, წყალი! ჩქარა, წყალი! — „სიონის“ ცნობილ ქომაგ აღა ასათიანს გული შეუწუხდა და ტრიბუნაზე ახლომახლო მსხდომნი თავს დასტრიალებდნენ. სათადარიგო გორელებმა მასპინძლებს უმალ მიაწოდეს წყალი საკუთარი მარაგიდან. ეს ამბავი დაახლოებით 88-ე წუთზე მოხდა, როცა ანგარიში 2:2 იყო.

50-ე წუთზე დავით გოგოლაძემ გოლი გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა ნუგზარ რუსიშვილმა, თამაშგარე იყოო და გააუქმა, რის გამოც სიონელებმა უსაყვედურეს.

67-ე წუთზე ირაკლი მიქავამ საჯარიმო დაარტყა, ბურთი ილურიძემ მოიგერია, მაგრამ გოგოლაძემ დამატებაზე გაიტანა — რუსიშვილმა ისევ თამაშგარე აღნიშნა და არ ჩათვალა. სიონელებმა მეორედ უსაყვედურეს. კუთხურის ალამთან მდგარ გვერდით მსაჯს მავანი გაცეცხლებული კაცი მიეჭრა, რომელსაც პოლიციელები მიჰყვნენ და გაბაწრეს. ტრიბუნისა და მოედნის გამყოფ რკინის ბადეს ხალხი მიაწყდა რუსიშვილთან სასაუბროდ.

„სიონმა“ შეცვლაზე შესული პაატა ჩოხელის თავური დარტყმის წყალობით მინც გაათანაბრა და, მწირქომაგიანობის მიუხედავად, „თემურ სტეფანია“ აგუგუნდა. ჩოხელისთვის ეს პირველი გოლი გამოდგა მეორე უმაღლესლიგურ მატჩში. გახარებული ყმაწვილი ფორვარდი მაისურიდან გამოძვრა, რისთვისაც სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო.

მასპინძლები გულშემატკივრების ყიჟინამ შეაგულიანა და მეტოქეს მოსაგებად მიაწვნენ. 85-ეზე პაატა ჩოხელმა საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა, მაგრამ რუსიშვილმა რუსია თამაშგარე მდგომარეობაში ნახა და ბოლნისელებს მესამე გოლი გაუუქმა. სიონელები მსაჯთან მივიდნენ და „მშვიდად“ აუხსნეს, რომ ეს უკვე მესამე არჩათვლილია. რკინის ბადეს წინა ეპიზოდთან შედარებით გაცილებით მეტი ხალხი მიეხეთქა. გვერდითი მსაჯის ახლოდან მნახველთა და მის თვალებში ჩახედვის მსურველთა რიცხვი გაიზარდა. მოედანზე „კოკა კოლას“ პლასტმასის ცარიელი ბოთლიც გაგორდა. გინება, რა თქმა უნდა, არ ყოფილა.

...88-ე წუთზე ნუგზარ რუსიშვილი კუთხურის ალმიდან ცენტრისკენ მირბოდა. ამჯერად მას ორივე გუნდის ოცდაორივე ფეხბურთელი მისდევდა, პარალელურად რკინის ბადეს მიჰყვებოდნენ გახელებული ქომაგები, რომლებსაც პოლიციელები არ შორდებოდნენ. მოედანზე ეს ამბავი რომ ხდებოდა, ტრიბუნაზე აღა ასათიანს წყალს ასხურებდნენ.

ყველაფერი ერთამანეთში აირია, ნუგზარ რუსიშვილი მინდვრის კიდეზე, ცენტრის ხაზთან გაჩერდა და შემოწყობილ ფეხბურთელებს გამოუცხადა, „სიონის“ სასარგებლოდ ანგარიში 3:2 გახდაო.

ახლა უკვე გორელებმა გაახურეს, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო, ეპიზოდი კი სადავო აი, რატომ გახდა: გია კილასონიამ მარცხნიდან ჯარიმა შეასრულა. ბურთმა მოთამაშეთა ფეხებში უგზოუკვლოდ იარა და ბოლოს გოგოლაძეს მიუგორდა, რომლის დარტყმულიც მცველმა კარიდან გამოაძევა. გვერდითმა მსაჯმა თქვა, ხაზი გადაკვეთაო, „დილა“ ამტკიცებდა, არაო, ამან დიდი კამათი გამოიწვია, მაგრამ ჩხუბამდე საქმე არ მისულა.

გორელებს წინა ჩემპიონატის მეორე ეტაპიდან მოყოლებული 12 მატჩია, არ მოუგიათ. არადა, ბოლნისში პირველივე ტაიმში ორბურთიანი უპირატესობა დაიბევეს და, ფაქტობრივად, ერთი კვირის შეკრებილი „სიონის“ ძლევა არ უნდა გასჭირვებოდათ.

ანგარიში კობა ხანიშვილმა „ნაჩუქარი“ ბურთით გახსნა. მას მცველებმა მხოლოდ ხალიჩები არ დაუფინეს. ხანიშვილმაც თავისუფლად მიიღო და მარცხენა ცხრიანში შეჭედა.

მასპინძელმა მიქავამ საჯარიმო დაარტყა, ილურიძე კი ბურთს ნახტომით ძლივს მისწვდა.

წუწუნავა ბობღიაშვილთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მეკარემ აჯობა. წუწუნავამ მოგვიანებით მინც გაიტანა. შატაკიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდა, ხოლო სტუმართა „თიანმა“ ახლო ძელთან ერთი შეხებით ბურთი ბადეში აფეთქა.

დავით გოგოლაძემ პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გაქვითა, გოლი კი საოცრად კოხტა გამოუვიდა. დაახლოებით 25 მეტრიდან ბურთს ცაცია დააძგერა და კარის ზედა მარცხენა კუთხეში შეასრიალა.

მეორე ტაიმზე ზემოთ გიამბეთ, ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ აღა ასათიანი ნამატჩევს გზისპირას ბორდიურზე იჯდა და ისვენებდა.

ბაბრი კეფლაძის ფოტო

კახა ცქვიტაია თავს ზემოთ ახტა

ბაბრი კეფლაძის ფოტო

პაატა ჩოხელის პირველი უმაღლესლიგური

ბურაგ დულინგაშვილის ფოტო

სოსო გრიშიკაშვილი და ირაკლი სირბილაძე: ასეთი მომენტი ერთი იყო და მაშინაც არ გავიდა

ARAFERI, SUL ARAFERI

თბილისში თურმე ცხელა

თბილისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ლოკომოტივი. 800 (ტევადობა 25 600)

ლოკომოტივი 0:0 ბათუმი

ლოკომოტივი	ბათუმი
გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ქებაძე, სიჭინავა (სანიკიძე 72), ლაცაბიძე, რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე (სოსელია 84), სირბილაძე, კიკალიშვილი (გაგუა 46) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; კირვალიძე, დევიძე, ელენტი **მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე	**ბათუმი:** გრიშიკაშვილი, გ. მახარაძე, თედორაძე, ექონია, ჩიკვილაძე, გალოგრე, ქაცარავა (მალანია 87), ხუჯაძე, ი. შენგელია (მაზრხავა 72), დარჩიძე (ღლონტი 65), გ. ნოდ. ჭელიძე *სათადარიგონი:* ი. ბალაძე; ხომერიკი, ი. ცინაძე, დუმბაძე **მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ღლონტი (71)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

კობა ინასარიძე

ასეთი უინტერესო, დუნე, მონოტონური ბურთაობა ეროვნულ ჩემპიონატში კარგა ხანია არ ყოფილა. ოთხი-ხუთი წლის წინ ასეთი მატჩები ხშირი კი იყო, მაგრამ ბოლო დროს გამოცოცხლებული ჩემპიონატისთვის „ლოკომოტივმა“ და „ბათუმმა“ მართლაც შეუფერებლად ითამაშეს. თავად განსაჯეთ, როგორი საცქერია მატჩი, რომლის მიმდინარეობისას გუნდები სულ ხუთ-ექვსჯერ დაჯარიმდნენ და ერთადერთ გაფრთხილებასაც მსაჯი სტუმარ ფეხბურთელს მაშინ მისცემს, როცა თამაში გაჩერებულია.

და თუ მატჩზე ერთ-ორ სიტყვას ვიტყვით, პირველ ყოვლისა, ბათუმელებზე, რომლებიც შესვენებამდე უფრო აქტიურობდნენ და მასპინძელთაგან განსხვავებით მწვავედ შეტევას მაინც ცდილობდნენ, სხვა საქმეა, სტუმრებს ეს როგორ გამოსდიოდათ. თუმც რეალური საგოლე მომენტი „ლოკომოტივმა“ შექმნა — სირბილაძის თავურს სიზუსტე ოდნავ დააკლდა. საპასუხოდ კი ბათუმელების ეულმა ფორვარდმა ჭელიძემ მოინდომა გატანა, მაგრამ გვარამაძემ არ დაანება. აი, სულ ეს იყო, რაც გუნდებმა შესვენებამდე მეტ-ნაკლებად დასამახსოვრებელი შექმნეს. „ბათუმის“ წამოწყებულ შეტევებს „ლოკომოტივი“ დაცვით პასუხობდა.

მეორე ტაიმში კი ისიც გაქრა, რაც იქამდე მაინც იყო. არც მომენტი, არც პასი, არც ბრძოლა. მოკლედ, არაფერი... ამ არაფრისას ერთხელ გრიშიკაშვილს გაუვარდა ბურთი ხელიდან და მცირერიცხოვანი, ძილმორეული ქომაგი ამ სახალისო ეპიზოდმა გამოაფხიზლა, საპირისპირო კართან კი „ბათუმის“ გაჯანჯლებული შეტევა არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

პრესკონფერენციაზე ასეთ უსახურ თამაშს მწვრთნელებმა თავისებური გამართლება მოუძებნეს, ძალიან ცხელოდა, ფეხბურთელებს სუნთქვა უჭირდათ და დაბალი ტემპიც ამის ბრალიაო. იქვე სვანაძემ და გოგიტიძემ ისურვეს, მატჩები ერთი-ორი საათით გვიან რომ დაიწყოს, სიგრილე იქნება და თამაშიც სანახაობრივად უკეთესი გამოვაო. ამ ყოველივეს მერე მასპინძელთა მწვრთნელმა ისიც დაიჩივლა, უფრო სწორად, თავის ფეხბურთელებს შესჩივლა, რომ გეუბნებით, ერთი შეხებით ითამაშეთ-მეთქი, დავალებას რატომ არ ასრულებთ და ბურთს უზომოდ რატომ ათრევთო...

ბურაგ დულინგაშვილის ფოტო

ზაურ სვანაძე და ამირან გოგიტიძე სიცხეზე შეთანხმდნენ

ნამეტანი აზნაურობაც ნამეტანია, ჩემო ბატონო

ქართული სიდარბაისლე ყველას გულს უხეთქავს

ქუთაისი. 7 აგვისტო. 17 საათი. ტორპედო. 1 500 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 4:0 ზესტაფონი

4:0 მეგრელაძე (30), 2:0 ბაბუნაშვილი (39ჯ), 3:0 ჩხეტიანი (44), 4:0 ბოლქვაძე (76)

ტორპედო	ზესტაფონი
სტურუა, ს. თოდუა, ებრალიძე, მემარნიშვილი, რევაზიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, ბოლქვაძე, მეგრელაძე (ადუაშვილი 46), კოშკაძე (მუმლაძე 59), გ. ჩხეტიანი (დარსაძე 72) *სათადარიგონი:* გ. გაბელია; ლაღაძე, ნ. ნადირაძე **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია	თ. ოდიკაძე, რაქვიაშვილი, ძაგნიძე, ხინგავა, ჯაფარიძე, ბ. ნოზაძე (მელიქია 46), შავგულიძე, შუკაკიძე (ქურციკიძე 66), ვ. ქუთათელაძე, ნუდნი, პარამონოვი (ჩიღვინიძე 46) *სათადარიგონი:* მერკვილიშვილი; სულაკაძე, კახნიაშვილი, შამათავა **მწვრთნელი:** ვლადიმირ ზემლიანოი

გაფრთხილება: ხინგავა (34), ძაგნიძე (39)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯავარიძე (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

წინა ტურში საშინაო მარცხის შემდეგ „ზესტაფონი“ ქუთაისს გადახალისებული შემადგენლობით ეწვია. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ ფეროელები იმერულ დერბიში ქულაზეც კმაყოფილები იქნებოდნენ. „ტორპედომ“ მცველ გამეზარდაშვილის არყოფნაში თავიდანვე ორი ფორვარდით შეუტია და სტუმართა კართან ხშირადაც იქმნებოდა ხიფათი. ორჯერ ჩხეტიანს უნდა გაეტანა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. მეგრელაძის ძლიერ დარტყმასაც ყოჩაღად დაუხვდა ოდიკაძე, თუმც, რომ იტყვიან, გოლი მწიფდებოდა და 30-ე წუთზე გავიდა კიდეც. კოშკაძემ მარცხნიდან ჩააწოდა და მეგრელაძემ ნახევარბრუნში ულამაზესი გოლი გაიტანა. ეს გიას პირველი გოლი იყო „ტორპედოში“ ოთხწლიანი განშორების შემდეგ. სტუმრებმა კი, თავის კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვაღა რომ დარჩენოდათ, მხოლოდ ორჯერ დაარტყეს კარისკენ, თუმცა პარამონოვის და შავგულიძის მუქარა სტურუამ ადვილად მოიგერია და „ტორპედომაც“ პირველივე ტაიმში მოათავა საქმე. ჯერ ბაბუნაშვილმა იხეირა პენალტით, შემდეგ კი ჩხეტიანმა გაიტანა. შესვენების შემდეგ შეცვლები ორივე გუნდში იყო, თუმცა თამაში უინტერესო გახდა. შეცვლაზე შესულმა დარსაძემ ცოტა კი გაამწვავა სიტუაცია, ორჯერ თავადაც უნდა გაეტანა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ბოლქვაძეს გაუწია ასისტენტობა და დათომაც შორეული დარტყმით საბოლოო ანგარიში გააფორმა.

ვლადიმირ ზემლიანოი: დღეისთვის ჩვენი გუნდი მზად არ არის უმაღლესი ლიგისთვის. მეტოქემ ყველა კომპონენტში გვაჯობა. ასეთი დაბალი ტემპით ვერ მოიგებ. ფაქტობრივად, სიარული იყო. ბეჟენარს თავისი პრობლემები ჰქონდა და გუნდიდან წავიდა.

ოთარ გაბელია: ფიზიკურად არც ჩვენ ვართ მზად სათანადოდ. ბიჭები გავაფრთხილე, რომ სერიოზულად ეთამაშათ დებიუტანტთან. ჩვენ ყველა თამაშზე ბოლომდე ვიბრძოლებთ და რაც გამოვა, საბოლოოდ ცხრილში გამოჩნდება.

რამაზ სვანაძე კიევის დინამოს მიაპითხავს



ლოკომოტიველ რამაზ სვანაძეს შაბათს კიევში, ლინკოს კლინიკაში ჯვარედინი იოგების ოპერაცია გაუკეთეს, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა.

— ექიმები ოპერაციით კმაყოფილები დარჩნენ, ფეხი ფიქსატორში ჩამისვეს და ნაკერები დამადეს — გვითხრა გუშინ სვანაძემ, კიევში რომ შევეხმიანეთ — ადგომის ნებაც მომცეს, მაგრამ საწოლიდან ფეხის გადმოდგმა და საშინელი ტკივილები ერთი იყო. გამაფრთხილეს კიდეც, ტკივილები გექნება და უნდა გაუძლოო. ყველაზე მეტად ნარკოზიდან გამოსვლა გამიჭირდა.

— საავადმყოფოდან როდის გაეწერები?

— ალბათ ხუთ დღეში, მაგრამ კიევში დავრჩები, ორ კვირაში ნაკერები უნდა ამომიღონ. საერთოდ, ძალიან მინდა, კიევის „დინამოს“ სარეაბილიტაციო ცენტრში მოვხვდე. იქ აღდგენის ყველა საშუალებაა. ჩემმა ახლობლებმა საფეხბურთო სამყაროდან უკრაინელი ნაცნობები ჩარიეს და, მგონი, ეს საქმეც გამოვა.

დავით ერაძე

აშვეთია უკეთესობისკენ და მოსკოვისკენ მიდის

მიხეილ აშვეთია თავს უკეთ გრძნობს და მისი მდგომარეობა მომჯობინებისკენ მიდის — იტყობინება მოსკოვის „ლოკომოტივის“ ოფიციალური საკლუბო ვებ-გვერდი. მართალია, აშვეთიას გონიც დაუბრუნდა და ტომოგრაფიამაც არ აჩვენა თავში სისხლჩაქცევები, მაგრამ ექიმები ქართველი ფეხბურთელის ტრანსპორტირებას და მოსკოვში გადაყვანას მაინც გაუმართლებლად თვლიან. მას სამშაბათამდე მოუწევს ნოვოროსიისკის საზღვაო ჰოსპიტალში დარჩენა, შემდგომი სარეაბილიტაციო კურსი უკვე მოსკოვში გაგრძელდება.

ტრავმის გამო აშვეთიას ბევრი დრო გაუცდება, ვინაიდან ვარჯიშს მხოლოდ ერთ თვეში თუ განაახლებს. ამასობაში „ლოკომოტივმა“ მოსკოვურ დერბიში „სპარტაკს“ უმასპინძლა და 0:0 დასჯერდა. მოედანზე არც მეორე ქართველი, მალხაზ ასათიანი ყოფილა.

დავით ერაძე

რატი ალექსიძეს ჟირესის მართებს

რატი ალექსიძე რატომაც არ თამაშობდა, ალბათ ყველამ იცის. მის გამოძახებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ — თქვა ხუთშაბათის პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალენ ჟირესმა. ფრანგის გადაწყვეტილებამ ალექსიძე ძალიან გაახარა და გუშინ როსტოვში რომ შევეხმიანეთ, პირველი, რაც მისგან მოვისმინეთ, ნდობისთვის მადლობა იყო



— კარგი კაცია ჟირესი. თქმაც მიჭირს, როგორ გამიხარდა ნაკრებში გამოძახება. ჟირესი მენდო და ახლა ჩემი ჯერია — ნდობა უნდა გავუმართლო.

— მერედა, მზად ხარ ამისთვის?

— 18 აგვისტომდე უნდა მოვასწრო ფორმის აღდგენა. 11 აგვისტოს თასის მატჩი გვაქვს, 15-ში კი პრემიერლიგის ტური. ამ ორ თამაშში უნდა ჩავეტიო.

— ნაკრებში გამოძახებაზე რა რეაქცია ჰქონდათ როსტოველებს?

— მართალი რომ გითხრა, არ უხარიათ, როდესაც კლუბიდან ფეხბურთელები ნაკრებში მიდიან, მაგრამ ეს მათი პრობლემაა.

— დარწმუნებული ხარ, რომ „როსტოვის“ ორ უახლოეს მატჩში ითამაშებ?

— მე მგონი, ვითამაშებ. გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე პირველი სათასო შეხვედრისას.

დავით ერაძე

UEFA CUP

უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი UEFA CUP

თბილისი — ლეგია

თბილისმა ლეგიას ქულები დააკარგვინა

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „თბილისის“ მეტოქე „ლეგიამ“ პარასკევს თბილისში გამომგზავრებამდე ბოლო მატჩი ჩაატარა: ვარშაველები „ამიკას“ ესტუმრნენ და 1:1 ითამაშეს. „ლეგია“ იგებდა, 28-ე წუთზე ბუნდესლიგის „ჰერტადან“ პოლონეთის ჩემპიონატს დაბრუნებულმა კარვანმა მასპინძლებს ულამაზესი გოლი გაუტანა.

როგორც ჩვენმა პოლონელმა კოლეგამ დარიუშ კუროვსკიმ გვითხრა, პირველ ტაიმში „ლეგიას“ უპირატესობა საგრძნობი ყოფილა, მაგრამ ერთ გოლზე მეტის გატანა, უამრავი მომენტის მიუხედავად, ვერ მოახერხა. შესვენების შემდეგ კი „ლეგია“ მოდუნდა და „ამიკამაც“ მძლავრად შეუტია. პირველი ტაიმის ბოლოს ვარშაველებს ცენტრალური მცველი ჩოტო დაუშავდათ, მის ნაცვლად მოთამაშე ბოლეტიცა კი ორსამჯერ უხეშად შეცდა და მასპინძლებმაც ანგარიში მისი არაზუსტი პასის შემდეგ გაათანაბრეს. „ლეგიას“ მწვრთნელმა დარიუშ კუბიცკიმ 1:1-ზე ორი შეცვლა გააკეთა, კარვანის ნაცვლად უმცროსი ტომაშ სოკოლოვსკი ათამაშა, უფროს სოკოლოვსკის კი „ლივერპულის“ მეკარე ირჟი დუდეკის ძმა, დარიუში ამჯობინა, მაგრამ მის გუნდს მნიშვნელოვანი არაფერი დასტყობია.

ნამატჩევს დარიუშ კუბიცკიმ თქვა, რომ მეორე ტაიმში ფეხბურთელებმა მთელი ძალით აღარ ითამაშეს, მათ წინ საქართველოსკენ გზა და „თბილისთან“ მძიმე ბრძოლა ელითო. მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ „ამიკასთან“ „ლეგიას“ ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდა და 12 აგვისტოსაც, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამავე ფეხბურთელებს ათამაშებს. ჩოტოს ტრავმა კი სერიოზული არ ყოფილა.

„ლეგიას“ შემადგენლობა „ამიკასთან“ ასეთი იყო: *ბორუკი; შალა, ჩოტო (პოლედიცა 44), იუჟვიაკი; კარვანი (სოკოლოვსკი უმცროსი 63), სოკოლოვსკი უფროსი (დუდეკი 76), სურმა, მაგერა, კილბოვიჩი; ვლოდარჩიკი, სავანოვსკი.*

კოტა ინასარიძე

ხარკოვს ჯაკობია ეამაყება



ეროვნული ნაკრების დებიუტანტმა ლაშა ჯაკობიამ შაბათს უკრაინის თასზე ითამაშა. მისი ხარკოვის „მეტალისტი“ ტერნოპოლში „ნივას“ სტუმრობდა და 1:0 მოიგო.

ქართველი ფორვარდი პირველ ტაიმში საკმაოდ აქტიურობდა, 37-ე წუთზე პენალტი მოინადირა, თავადვე დაარტყა, მაგრამ მეკარემ ბურთი მოიგერია.

ლაშას კიდევ ერთი საგოლე შანსი მიეცა, მაგრამ ვერც ამჯერად აჯობა „ნივას“ კარის დარაჯს.

მეორე ტაიმის მე-10 წუთზე გენადი ლიტოვჩენკომ ქართველი თავდამსხმელი შეცვალა. „მეტალისტის“ საკლუბო ვებ-გვერდი კი ერთგვარი სიამაყით გვამცნობს, რომ მათმა ფეხბურთელმა ლაშა ჯაკობიამ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ალენ ჟირესის ყურადღება დაიმსახურა და მოლდოველებთან ითამაშებსო.

დავით ერაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I | შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ყაზახეთი



ყაზახთა საუკეთესო რუსლან ბალტიევი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე ყაზახეთი 15 აგვისტოს რუსეთის კლუბების ნაკრებს გაეჯიბრება ამხანაგურად. მაისში აზერბაიჯანთან 2:3 წაგების შემდეგ ეს პირველი სპარინგია აზიელი „ევროპელებისთვის“. შეხვედრას ქალაქი კოსტანაე უმასპინძლებს.

ყაზახეთის ნაკრების 30-კაციან გაფართოებულ სიაში ოთხი ლეგიონერია — შინიკელი რინატ დუბინსკი, ხიმკელი დმიტრი ლიაპკინი, ტომელი ალექსანდრ ფამილცევი და მოსკოველი რუსლან ბალტიევი, ვისაც სადღეისოდ ყაზახეთის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევენ.

როგორც ყოველთვის, ნაკრებში ყველაზე მეტი, შვიდი წარმომადგენელი ალმათის „ქაირათს“ ჰყავს. ისე კი, სერგეი ტიმოფეევმა უძლიერესი შემადგენლობის შეკრება მოახერხა.

აქვე ყაზახეთის ეროვნული და რუსეთის კლუბთა ნაკრებების შემადგენლობებს გაგაცნობთ:

ყაზახეთი: მეკარეები — ანდრეი მორევი (ეკიბასტუზეცი), იური ნოვიკოვი (ირტიში), ილია იუროვი (ქაირათი), ალექსანდრ მოკინი (ჟენისი); მცველები — სამატ სმაკოვი, ოლეგ მუსინი, ვიტალი არტემოვი (სამივე ქაირათი), იგორ ავდეევი, ანტონ ჩიჩულინი (ორივე ჟენისი), ფარხადბეკ ირისმეტოვი (ირტიში), სერგეი კოზულინი (ორდაბასი), რინატ დუბინსკი (შინიკი, რუსეთი), დმიტრი ლიაპკინი (ხიმკი, რუსეთი), ალექსანდრ ფამილცევი (ტომი, რუსეთი); ნახევარმცველები — იური აკსიონოვი, ანდრეი კარპოვიჩი (ორივე ქაირათი), ედუარდ სერგიენკო (ჟენისი), სერგეი ლარინი (ალმათი), მაქსიმ ნიზოვცევი, ნურბოლ ჟუმასკალიევი, მურატ სუიუმგამბეტოვი (სამივე ტობოლი), ვიტალი ევსტიგნეევი, მაქსიმ აზოვსკი (ორივე თარაზი), რუსლან ბალტიევი (მოსკოვი, რუსეთი); თავდამსხმელები — დენის როდიონოვი (ატირაუ), ვლადიმირ იაკოვლევი, მურატ ტლეშევი (ორივე ირტიში), ალიბეკ ბულეშევი (ქაირათი), სერგეი ოსტაპენკო (ალმათი), ანდრეი ფინონჩენკო (შახტიორი), რაფაელ ურაზბახტინი (აქტობე-ლენტო).

რუსეთი: დმიტრი ბოროდინი (ტორპედო), სერგეი კოზკო (რუბინი), ალექსანდრ ფილიმონოვი (მოსკოვი); ვიტალი ვოლკოვი, კონსტანტინ ზირიანოვი (ორივე ტორპედო), ანტონ როგოჩი (როსტოვი), კამალუტდინ ახმედოვი (სპარტაკი), ლიუბომირ კანტონისტოვი, ანდრეი ტოპჩუ, ალექსანდრ ორეხოვი (სამივე ყუბანი), ალექსეი მედვედევი, პიოტრ ბისტროვი, ჯამბულატ ბაზაევი, ედუარდ მორი (ოთხივე სატურნი), ანდრეი დიატელი, დმიტრი პოლოვინჩუკი, ერიკ კორჩაგინი (სამივე დინამო), სერგეი კუზნეცოვი (ლუჩ-ენერგია), სერგეი ვინოგრადოვი (კრილია), რუსლან პიმენოვი (ლოკომოტივი), სერგეი ვოლკოვი (ამკარი), ივან ტარანოვი (ცსკა).

რუსებს იური სმირნოვი უთავკაცებს. ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, იგორ კოლივანოვი და ვლადიმირ პილგუი კი მისი თანაშემწეები იქნებიან.

აქვე შეგახსენებთ, რომ 18 აგვისტოს საქართველოს ნაკრები მოლდოვას გაეჯიბრება.

ძახა შალამბერიძე

დაისლერმა ბაიერნს კლასი დაატყო

არ ეპაექრებოდათ, მაგრამ იპაექრეს

REUTERS ბარბერიდან

სებასტიან დაისლერის ფეხი „ბაიერნს“ აშკარად დაეტყო

გერმანია

ბუნდესლიგა. I ტური

ვერდერი 1:0 შალკე

1:0 ვალდესი (83)

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, სტალტერი (მანინი 64), ფ. ბაუმანი, ბოროვსკი, ფ. ერნსტი (ლაგერბლომი 79), მიკუ, კლოზე (ნ. ვალდესი 73), კლასნიჩი

მწვრთნელი: თომას შაადი

შალკე: ფ. როსტი, უდე კამპუისი, ვალდოხი, კრსტაიჩი, პანდერი, კ. პოულსენი, ვერმანტი (ლინკოლნი 79), ჯუბიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი (გ. ვარელა 52), აილტონი, ჰანკე (დელურა 64)

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: კობიაშვილი

მსაჯი: ტრაუტმანი

42 109 მაყურებელი

ფრაიბურგი 0:0 ჰანზა

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, მ. დიარა (შ. მიულერი 73), მოჰამადი, ს. რიტერი, ცძიტიშვილი, კრუპკე (ტანკო 62), ბაირამოვიჩი (დორნი 79), კაირო, იაშვილი, კულიბალი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, მაული, რიდლევიჩი, ლანცი (ადუბე 85), თ. რასმუსენი (მეგლე 76), პრიკა, არვიდსონი (დი სალვო 64)

მწვრთნელი: იური შლიუნცი

გაფრთხილება: მიულერი, მიორლე, მეგლე

მსაჯი: ფლაიშერი

21 000 მაყურებელი

ჰამბურგი 0:2 ბაიერნი

0:1 ბალაკი (22), 0:2 დაისლერი (71)

ჰამბურგი: პიკენბაგენი, ვიკი (ბაინლიხი 70), ვან ბუიკენი, ბ. რაინჰარდტი, კლინგი, ბენყამინი, იაროლიმი, რანი (ტაკაჰარა 80), ბარბარესი, ე. მპენზა, რომეო

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ბაიერნი: კანი, გიორლიცი, ლუსიო, თ. ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ფრინგსი (დემიკელისი 79), დაისლერი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი (ჰაშემიანი 46), სანტა კრუზი (შოლი 59)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: იაროლიმი, კლინგი, ბაინლიხი, ფრინგსი

მსაჯი: იანსენი

55 500 მაყურებელი

ლევერკუზენი 2:1 ჰანოვერი

0:1 ტარნატი (15), 1:1 შნაიდერი (49), 2:1 ფრანცა (90)

ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი (პლასენტე 75), ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, რამელო, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (ბიროფკა 46), ფრაიერი (კრეინოვეკი 46), პონტე, ბერბატოვი, ფრანცა

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, დაბროვსკი, შრიოტერი (რიკარდუ სოუზა 64), ლეანდრო (შტენდელი 64), დე გუცმანი, სტაინერი (კრისტიანსენი 69)

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

გაფრთხილება: ნოვოტნი, პონტე, დე გუცმანი, ლალა,. რიკარდუ სოუზა

მსაჯი: ვაკი

22 500 მაყურებელი

დორტმუნდი 1:2 ვოლფსბურგი

1:0 ევერტონი (30), 1:1, 1:2 ბრდარიჩი (43, 64)

დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი, დემელი, ბერგდოლმო, ნ. იენსენი (გამბინო 65), ოლისე, კელი, როსიცკი, დედე, კოლერი, ევერტონი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი

ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, პოფლანდი, ვაიზერი (შარპეი 88), ბ. რიტერი, ტიამი, კარპანი, მ. ხრისტოვი, ბრდარიჩი (მენსეგეზი 75), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 85)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: პოფლანდი, რიტერი, კარპანი

მსაჯი: შტარკი

71 000 მაყურებელი

ჰერტა 2:2 ბოხუმი

1:0 ჟილბერტო (6), 2:0 მარსელინიო (44), 2:1 კალა (65), 2:2 მადსენი (70პ)

ჰერტა: ფიდლერი, ო. შრიოდერი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ჰარტმანი, დარდაი, ტ. მარქსი (ნოინდორფი 79), ჟილბერტო (დეჯაგა 85), მარსელინიო, ვიშნიარეკი (რაფაელი 66), ბობიჩი

მწვრთნელი: ფალკო გიოტცი

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, კნავსი, პ. ბიონიგი (ედუ 46), მალტრიცი, ცდებელი (ბეკმანი 46), პროისი, ვოში (მაიხელბეკი 75), ლოკვენცი, ჰ. მადსენი

მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი

გაფრთხილება: ჰარტმანი, მალტრიცი, ცდებელი

მსაჯი: მერკი

45 435 მაყურებელი

ლაუტერნი 1:3 ნიურნბერგი

0:1 ბანოვიჩი (12პ), 1:1 ზანდი (58პ), 1:2 ვიტეკი (64), 1:3 ლ. მიულერი (84)

კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ნურმელა (ზანდი 46), ჰერჩი, ვენცელი, ჩატო (ლეგმი 46), რიდლი, ნერლინგერი, მიკიჩი, ზაიცი, ჰალილ ალტინტოპი, იანკერი

მწვრთნელი: კურტ იარა

ნიურნბერგი: შეფერი, ა. ვოლფი, ჰაიტო, ბოზაცკი, ვიბლიშაუზერი, ს. მიულერი, ლარსენი, მინტალი (ნიკლი 89), ბანოვიჩი (ლ. მიულერი 65), ვიტეკი (დაუნი 85), შროტი

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

გაფრთხილება: ვიზე, ნურმელა, ნერლინგერი, ბანოვიჩი, ჰაიტო

მსაჯი: ვაინერი

37 828 მაყურებელი

შტუტგარტი 4:2 მაინცი

1:0, 2:0 კაკაუ (20, 30), 2:1 ბაბაცი (48), 3:1 მაისნერი (51), 3:2 ბოდოგი (75), 4:2 კაკაუ (78)

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, შტრანცლი, ბაბელი, ჰ. გერბერი (ვრანიეში 89), სოლდო, მაისნერი, ჰელდტი (ლამი 72), ა. გლები, საბიჩი (კურანი 62), კაკაუ

მწვრთნელი: მათიას ზამერი

მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, მ. ფრიდრიხი, ბოდოგი, როსე, ბაბაცი, ფ. გერბერი, და სილვა (კრამნი 46), ნ. ვაილანდი, დვორაკი (ვებერი 71), აუერი (კეისი 58)

მწვრთნელი: იურგენ კლოპი

გაფრთხილება: სოლდო, ბაბაცი, როსე

მსაჯი: მეიერი

44 000 მაყურებელი

REUTERS ბრუბერგიდან

ვალერიან ისმაელმა ყოფილი თანაგუნდელი აილტონი ასე ანუგეშა

არმინია 0:0 მიონხენგლადბახი

არმინია: ჰაინი, ოვომოიელა, ბოგეესი, გაბრიელი, შულერი (მ. მარიჩი 74), კაუფი, დამაიერი (რაუვი 66), ვატა, შკელა, ბაკლი, კუნცელი (რადუჩანუ 66)

მწვრთნელი: უვე რაპოლდერი

მიონხენგლადბახი: კამპა, პლეტჩი, შტრასერი, ფუკალი, ჰაუსვაილერი, ციგე, ულიხი, ივიჩი (კლუგე 64), შლაუდრაფი (ვან კერკჰოვენი 70), ნოიფილი (სვერკოში 78), ვან ჰუტი

მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი

გაფრთხილება: პლეტჩი, პლეტჩი

გაძევება: პლეტჩი (36)

მსაჯი: ფანდელი

26 601 მაყურებელი

უაილტონო ჩემპიონმა აილტონიან „შალკეს“ მოუგო მატჩში, რომელიც უშუქობის გამო ერთი საათით გვიან დაიწყო და შეცვლაზე შესული ნელსონ ვალდესის გოლით დამთავრდა. „ვერდერმა“ ბუნდესლიგა გამარჯვებით გახსნა, თომას შაფმა კი ნამატჩევს განაცხადა: „ჩვენ არ გვითამაშია ისე, როგორც ჩემპიონს ეკადრება, თუმც გულშემატკივრებმა გადასარევად გვიქომაგეს და უფრო იღბლის წყალობით მოვიგეთ.“

ხოლო იუპ ჰაინკესმა დაიწუწუნა: „ჩემი ბიჭები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ სიზუსტე აკლდათ, სამწუხაროა, რომ გოლი მატჩის ბოლოს გავუშვით“.

მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც აშკარად ყოჩაღად გამოიყურება მაგათის ხელში, კლაუს ტოპმიოლერის „ჰამბურგს“ თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა. მიხაელ ბალაკმა იუველირული სიზუსტით შესვა ბურთი მეტოქის კარში, ხოლო სებასტიან დაისლერმა მეორე ნახევარში საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

კლაუს ტოპმიოლერი: „გუნდს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ „ბაიერნთან“ მოსაგებად მხოლოდ თავდადება არ კმარა“.

ფელიქს მაგათი: „ჰამბურგი“ რომ ძალიან ძლიერია, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუმც ჩვენ გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები გვყავს და შედეგიც ამ სხვაობამ გადაწყვიტა“.

„ბუნდესლიგის ახალწვეულმა „ნიურნბერგმა“ კაიზერსლაუტერნში გაილაღა. მასპინძლები გასულ სეზონში გავარდნას გადაურჩნენ, მაგრამ ასე თუ გააგრძელეს, კურტ იარას გუნდი იქ აღმოჩნდება, საიდანაც „ნიურნბერგი“ ამოვიდა.

სტუმრები ივიცა ბანოვიჩმა პენალტით დააწინაურა, მეორე ტაიმში ფერიდონ ზანდიმ პენალტითვე გაათანაბრა. სლოვაკმა რობერტ ვიტეკმა კი ექვს წუთში დამხვდურები კვლავ დაამწუხრა, ხოლო ლარს მიულერმა შეხვედრის მიწურულს მესამე მიაყოლა.

დორტმუნდის „ბორუსიას“ ჰოლანდიელ მწვრთნელ ბერტ ვან მარვიკს საქმე ჯაგად აქვს ინტერტოტოდან. „გენგმა“ გადაეკეთა ბუნდესლიგის პირველ ტურში „ოლფსბურგთან“ მატჩი დათმო.

„შავ-ყვითლებმა“ პირველი ტაიმი ევერტონის გოლით მოიგეს, მაგრამ ამ ზაფხულს „ლევერკუზენიდან“ „მგლებში“ გადასულმა ტომაშ ბრდარიჩმა დუბლი შეასრულა და „ვოლფსბურგს“ მოულოდნელად სამი ქულა ჩაახუტა.

საპირისპირო მოხდა ლევერკუზენში, სადაც „ფარმაცევტები“ შესვენებამდე მიხაელ ტარნატის გოლით აგებდნენ, თუმც მეორე ნახევრის დასაწყისში ბერნდ შნაიდერმა და ფრანცამ მასპინძლების მოგება გამოჭედეს.

ბერლინის „ჰერტამ“ ორბურთიანი სხვაობა ქარს გაატანა. ბერლინელთა ახალწვეულმა ჟილბერტომ პირველი ბუნდესლიგური გოლი შეაგდო, ხოლო მარსელინიომ „ბოხუმს“ მეორე მიართვა.

სტუმრებმა „ჰერტას“ ხუთ წუთში ხასიათი წაუხდინეს. ჯერ რაიმონდ კალამ გაქვითა ერთი, მერე კი პეტერ მადსენმა პენალტით გაათანაბრა.

„ბოხუმის“ მწვრთნელი პეტერ ნოირურერი: „გაგვიმართლა, რომ 0:2-ზე მესამე ვეღარ გაგვიტანეს, ორბურთიანი სხვაობის გაბათილება კი მოულოდნელად და სწრაფად მოვახერხეთ“.

ვაჟა ხუციშვილი

მეორე ბუნდესლიგა

პირველი ტური

ესენი 1:5 აუე

0:1 კური (22), 0:2 ტრენკოფი (32), 0:3 ჰელბიგი (36), 0:4 კური (43), 1:4 ფოლდგასტი (55), 1:5 ტოპმიოლერი (89)

აუე: ჰანელი, კოში, ჰასე, ლიბერსი, გიუნტერი (მ. ჰაიდრიხი 65), კურტი, ტრენკოფი, ტოპმიოლერი, კურინ, იუსკოვიაკი (შუბითიძე 90), ჰელბიგი (ჩიპევი 69)

14 000 მაყურებელი

ობერჰაუზენი 1:1 ტრირი

1:0 რიტპიჩი (16), 1:1 ლაბაკი (30)

ტრირელი დავით სირაძე სათადარიგო იყო

დინამო 3:1 დუისბურგი

0:1 კურტი (62), 1:1 ოსვალდი (68), 2:1 ლავრიკი (72), 3:1 კენედი (75)

კარლსრუე 1:1 ბურგჰაუზენი

1:0 მასმანიდისი (66), 1:1 პოპოვიჩი (90)

ფიურტი 1:0 ალენი

1:0 ვოტავა (67)

კიოლნი 0:0 კოტბუსი

მიუნხენი 2:2 უნტერჰახინგი

0:1 შუკალო (13), 1:1 პფლიპსენი (33პ), 2:1 კოლომაენიკი (42), 2:2 შიდი (68)

ზაარბრიუკენი 0:2 ერფურტი

0:1 შნეცლერი (45), 0:2 დავიდი (89)

ალემანია — აინტრახტი

დღეს გაიმართება

ჩრდილოეთ რეგიონალიგა

მეორე ტური

ფორტუნა — ბრაუნშვაიგი 3:0; ზანკტ პაული — კილი 1:1; უნიონი — ვუპერტალი 4:2; არმინია (მ) — იურდინგენი 4:1; ქემნიცი — ვერდერი (მ) 0:0; პადერბორი — ჰერტა (მ) 4:2; ლიუბეკი — მიუნსტერი 3:0; დორტმუნდი (მ) — ვოლფსბურგი (მ) 3:1; ჰამბურგი (მ) — კიოლნი (მ) 2:0

სამხრეთ რეგიონალიგა

მეორე ტური

შტუტგარტი (მ) — ზიგენი 1:0; მიუნხენი (მ) — კიკერსი 2:0; მაინცი (მ) — დარმშტადტი 2:1; ოფენბახი — ფოიხტი 3:1; აუგსბურგი — ელვერსბერგი 2:2; კობლენცი — ნოტინგენი 2:0; აალენი — ჰოფენჰაიმი 0:2; ვეპენი — რეგენსბურგი 3:2; პფულენდორფი — ბაიერნი (მ) 0:3

II ტური

14 აგვისტო

მაინცი	:	ჰამბურგი
ბაიერნი	:	ჰერტა
ბოხუმი	:	ლევერკუზენი
ჰანოვერი	:	არმინია
გლადბახი	:	დორტმუნდი
ვოლფსბურგი	:	ფრაიბურგი
ჰანზა	:	ვერდერი
შალკე	:	ლაუტერნი
ნიურნბერგი	:	შტუტგარტი

პარიზს რენი შეეყარა
საფრანგეთმა ჩეჩანტონი გაიცნო

საფრანგეთი
I ჩემპიონატი I ტური

სენტ ეტიენი 01 ბორდო
01 ტეფერმანი (1)
ლენი 10 ანიერ
10 ბოლონი (30)
ტულუზი 00 ლანსი
რენი 21 ანე
10 სოლანი (22), 20 ა. ფერი (24), 21 ბოდეტეი (49)
ბასტია 21 სტრასბურგი
10 ფო (44), 11 ბაკი (47), 21 ფერეი (76)
ანიერ 11 ციერი
01 ბეკი ნდიაე (9), 11 ფეტე (16)
მარსელი 10 პარიზი
10 ბეტეე (90)
ბორო 10 ნანტი
10 სოტე (86)
ლილი 20 ოსერი
10 ბოსეტი (43), 20 ფერნი (47)
ნანტი 11 ლორიენი
01 ფლეური (77)

სიფეი ზეფერინი

REUTERS
პარიზელი ბიჭებმა ბრაზი ჩეჩენელების ალუმში მიიტანეს

ბევრ ჩეჩი ბიჭელისაგან წეიდა, მიგრან ბრძა შეეფლი შეჩეცლელა, ანგრეს ისაკენაში ბოგოთის შესანაცვლად ითამაშა.

ჩეჩენელმა ორ წეიდა ორეულ გოლების პარიზელებს. ეკონ სოლ ლენის ოფორდი, შეუ კი პოლენეი ბოთ ბანო ალექსანდრ ფერეი სტენერს დამიდ ლეგეთა დაეშალდა, რომლის შეჩეცლელა ბენ ერი პიელებმ ბენიდეთი ეროთ გაქეთა.

„ლენეულ" „ბორიკოთან" ეიდანრეგელა ბიეფერ ეროტეტი ჩეკენენენ ფლეთან ეიდეთა ეიდანბა ეროეცელა ფორეფრა ბენეთა პარეელეთ ეეეთ „ლენ" ბანა ქეეი ფიტეეენა ფერეთ პარეელეთ ბოეელ ტაბის ბოეეერელა, ფეფერი ლენან კი შეორე ბანეეის ფანეეენეთ სეეე პარეეს ითეოოთეთ აკანრეს.

ეი. რეეს „ლენეს" ეანანეთა მალეთ ფიტეეი. მეკეეენა მეეენეთ ბენეთ შეეენეეთ ეეეენ „ლენ" ბანა ქეეი ფიტეეენა ფერეთ პარეელეთ ბოეელ ტაბის ბოეეერელა, ფეფერი ლენან კი შეორე ბანეეის ფანეეენეთ სეეე პარეეს ითეოოთეთ აკანრეს.

ეი. ლეეენის „ლიონთ" კონანელი „ლიონ" ბეელეთელეთ ეეე ბეა. შეეენეთ ფიტეეენან ბანეეენ ეანეთ ეანეთა ეენეეენეთ ეეეენ ეეეენეთ ეეეენეეენ ეეეენ ეეეენ ე

მაურინიუ ბარსას მაძულებდა

დეკოსთვის ლარსონი ბედის საჩუქარია



პორტუგალიელი დეკო თავის კარიერაში ახალ ეტაპს იწყებს — ოკეანისგაღმელი ლუზიტანი დღეს უკვე „ბარსელონას“ ფეხბურთელია და ესპანურ „მარკასთან“ ინტერვიუში არც დაუმალავს, რომ ახალი გუნდით ერთობ კმაყოფილია. დეკომ ისიც აღიარა, რომ მისით მადრიდის „რეალი“ იყო დაინტერესებული და ერთი ამბავიც გაამხილა — „პორტუს“ ყოფილი მწვრთნელი, ჟოზე მაურინიუ პირად საუბრებში „ბარსელონას“ ფრიად მუქ ფერებში მოიხსენიებდაო...

— აზიური ტურნეს დროს „ბარსელონას“ შემადგენლობაში უკვე ითამაშეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები გუნდის შესახებ?

— პირველი მატჩი არცთუ ისე კარგი გამოგვივიდა, თუმცა მერე მწვრთნელის მეცადინეობით და ფეხბურთელების ოსტატობის წყალობით, ვფიქრობ, მშვენივრად ავაწყვეთ თამაში.

— რაიკარდმა აზიაში ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. ხომ არ შეშფოთდით, როცა დამრიგებელმა მოედანზე ერთბაშად შვიდ უკანახაზელს უხმო?

— „ბარსას“ დაცვითი თამაშის სიყვარულს ვერ დააბრალებთ. ჩვენთან მთავარი გუნდია, გუნდში კი დაცვაც და თავდასხმაც ყველას მეტ-ნაკლებად უნდა შეეძლოს. მაგალითისთვის გეტყვით — გაბრი, მარკესი და ვან ბრონკჰორსტი ცენტრში თამაშობენ და უმეტესად დაცვა ევალებათ, თუმცა როცა საჭიროა, შეტევაშიც მშვენივრად ერთვებიან.

— გულშემატკივრებს დიდი ხანია, აინტერესებთ, „ბარსაში“ რომელ პოზიციაზე ითამაშებთ...

— ყოველთვის ცენტრში ვთამაშობდი და ადგილის შეცვლას არც „ბარსელონაში“ ვაპირებ.

— ხალხი ამბობს, რომ მოედნის შუაგულს ან ხავი დაიკავებს ან დეკო...

— ჩვენ განსხვავებული მოთამაშეები ვართ, თუმცა ერთ პოზიციაზე თამაშიც შეგვიძლია. ხავი ბურთს კარგად აკონტროლებს, მოიერიშეებს პასს აწვდის, თამაში მიჰყავს. ჩემი დადებითი თვისებები სხვაა — უფრო გოლის გასატანად ვზრუნავ და ბურთის დიდხანს ტარებაც მიყვარს. ეს ჩემი მანერაა და არც ამის შეცვლა მსურს.

— პასის ტექნიკა არც თქვენ დაგეწუნებათ. იმედია, საგოლე სიტუაციების დროს ახალ გუნდშიც არ მოაკლებთ თანაგუნდელებს პასს...

— გოლის თანაავტორობა ძალიან მომწონს. რა თქმა უნდა, ბურთებიც გამაქვს, მაგრამ გამოგიტყდებით, საგოლე პასებში აშკარად მეტი აზარტი ყოფილა.

— „ბარსელონას“ ახალი შენაძენი, შვედი ჰენრიკ ლარსონიც მშვენივრად გამოიყურება. სკანდინავიელის ასეთმა კარგმა თამაშმა არ გაგაკვირვათ?

— ლარსონს აქამდეც ვიცნობდი და რამდენჯერმე მის წინააღმდეგაც მითამაშია. გონიერი ფეხბურთელია, თავისუფალ სივრცეს თითქმის ასპროცენტიანად იყენებს. თავის უკან მყოფ თანაგუნდელებისთვის ჰენრიკი ნამდვილი ბედის საჩუქარია.

— მართალია, რომ ამ ზაფხულს თქვენი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაყვანა მადრიდის „რეალსაც“ უნდოდა?

— მადრიდელები ჩემს შეძენას ევრო 2004-ის მსვლელობისას შეეცადნენ. პირადად მე არავის გავსაუბრებივარ. ფლორენტინო პერესს ჩემი აგენტი, ჟოზე მენდესი ელაპარაკებოდა.

— გარდა „რეალისა“, ლონდონის „ჩელსი“ და მიუნხენის „ბაიერნიც“ გიწვევდნენ.

— სრული სიმართლეა. სამივე ამ კლუბმა „პორტუს“ ჩემს შესახებ ოფიციალური წინადადებით მიმართა, თუმც, როგორც იცით, მე ყველას „ბარსელონა“ ვარჩიე.

— „ბარსაში“ თქვენი გადასვლა როგორ მოხდა?

— იმ პერიოდში „ჩელსისთან“ ხელშეკრულება თითქმის უკვე გაფორმებული მქონდა, მხოლოდ ხელმოწერაღა რჩებოდა და უცბად მატყობინებენ, რომ სცენაზე ახლა „ბარსელონაც“ გამოდის. მენდესი ლაპორტასა და როსელის შეხვდა, მერე მე დამიკავშირდნენ და ტრანსფერიც საოცრად სწრაფად დავაგვირგვინეთ.

— კატალონიურმა კლუბმა რითი მოგხიბლათ?

— „ბარსა“ ყოველთვის მომწონდა და ადრეც ვამბობდი, რომ თუ ამ გუნდსა და სხვას შორის არჩევანის უფლებას მომცემდნენ, მე უყოყმანოდ „ბარსელონას“ ავირჩევდი. „ბარშანაც“ შემეძლო „კამპ ნოუზე“ გადასვლა, მაგრამ მაშინ „პორტუს“ პრეზიდენტმა კლუბზე დარეკა მთხოვა. საბედნიეროდ, პორტუგალიამ ფასული ელინი �მთვის ძალიან იღბლიანი იყო.

— თქვენი ადრინდელი დამრიგებელი, ჟოზე მაურინიუც პირად საუბრებში პრიმერადივიზიონის გრანდს ალბათ კარგად დაგიხასიათებდათ...

— ეგ ვინ გითხრათ?! პირიქით, გასულ სეზონში ყველანაირად ცდილობდა, ჩემი „პორტუში“ შენარჩუნების მიზნით „ბარსელონაზე“ კარგი არაფერი დასცდენოდა. თუმც მაურინიუმ და მეც ძველი ამბები წარსულს ჩავაბარეთ. ჟოზემ ცოტა ხნის წინ დამირეკა და ძალიან გულთბილად მომილოცა „ბარსელონაში“ გადასვლა.

რა თქმა უნდა, კრუიფი



ჰოლანდიაში პროფესიული ფეხბურთის დაარსებიდან ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმეს. დღესასწაულზე არაერთი მატჩი გაიმართა და „ნარინჯისფერთა“ ვეტერანებმაც გააგორეს ბურთი.

იუბილესთან დაკავშირებით ბოლო 50 წლის საუკეთესო კლუბი და ფეხბურთელი დაასახელეს. კლუბებში, ცხადია, ამსტერდამის „აიაქსი“ უკონკურენტოდ იყო, ხოლო ფეხბურთელებში იოჰან კრუიფმა პირველობა არავის დაუთმო.

„მფრინავმა ჰოლანდიელმა“ ჯილდო 50-იანი წლების ვარსკვლავის, ფაას ვილკესისგან მიიღო და თქვა: „რა თქმა უნდა, მიხარია, მაგრამ ეს ჯილდო მხოლოდ ჩემი კი არა, იმ გუნდებსაც ეკუთვნით, რომლებშიც ვთამაშობდი. ძალიან მესიამოვნა, რომ ვილკესმა დამაფასა, ის ხომ თავის დროზე ჩემთვის სამაგალითო ფეხბურთელი იყო“.

ვაჟა ხუციშვილი

ჰოლანდია

KNVB

სუპერთასი

აიაქსი 2:4 უტრეხტი

1:0 პიენაარი (51), 1:1 შუტი (72), 2:1 სნეიდერი (80), 2:2 სომერსი (87), 2:3 დუგლასი (90), 2:4 სომერსი (90)

„აიაქსს“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი გოლით ვერ შეეწია

ინგლისი

სუპერთასი

არსენალი 3:1 მანჩესტერ იუნ.

1:0 ჟილბერტო სილვა (49), 1:1 სმიტი (55), 2:1 რეიესი (59), 3:1 სილვესტრი (79ს.კ.)

არსენალი: ი. ლემანი, ფაბრეგასი (სვარდი 87), კ. ტურე, სიგანი, ეშლი კოული, ლორენი, პენანტი, ჟილბერტო სილვა, ბერხკამპი (ალიადირი 61; კლიჩი 69), ანრი (ვან პერსი 46), რეიესი (ჰოიტი 80)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, მ. სილვესტრი, ოში (სპექტორი 82), კ. ფორჩუნი (ფ. ნევილი 51), ჯემბა-ჯემბა, როი კინი (ფლეტჩერი 51), სქოულზი (კ. რიჩარდსონი 74), გიგზი (ფორლანი 51), ა. სმიტი (იგლსი 73), ბელიონი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ფ. ნევილი, ჯემბა-ჯემბა, კოული

მსაჯი: დინი

63 317 მაყურებელი

არსენალმა მანჩესტერი უჩხუბრად წააგო

ხოსე ანტონიო რეიესი „მანჩესტერის“ საჯარიმოს წმირი სტუმარი იყო

ლონდონის „არსენალმა“ სეზონში პირველი ჯილდო გუშინ მოიგო. კარდიფში, „მილენიუმის“ სტადიონზე „მეთოფეებმა“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხოსე ანტონიო რეისის შესანიშნავი თამაშის წყოლობით დაამარცხეს. შარშან ამავე თასისთვის მატჩში დიდი ჩხუბი ატყდა, რომელიც რუუდ ვან ნისტელროის აცილებულ პენალტს მოჰყვა, მაგრამ ამჯერად ყველაფერი მშვიდად დასრულდა.

არსენ ვენგერს არ ჰყავდა პატრიკ ვიეირა. „რეალში“ მისი გადასვლის ამბავი კვლავაც გრძელდება. სამაგიეროდ, პირველ ტაიმში ტიერი ანრიმ წაიბურთავა, მაგრამ ეტყობა, ფორმაში ვერ იყო და მწვრთნელმაც აღარ დააძალა — შესვენებისას რობინ ვან პერსიეთი შეცვალა.

ლონდონელთა შემადგენლობაში ორმა ესპანელმა ითამაშა — ყმაწვილმა ფრანსესკ ფაბრეგასმა და ხოსე ანტონიონი რეიესმა.

ალექს ფერგიუსონს ტრავმირებული რუუდ ვან · ნისტელროი აკლდა. ალან სმიტმა კი პირველი მანჩესტერული გოლი მიითვალა.

ასვარიზ ჟილბერტომ [illegible] პასით გასწია, ხოლო სმიტმა კოლო ტურეს შეცდომით ისარგებლა და ოციოდ მეტრიდან იენს ლემანს ბურთი კარში ჩაუსვა.

ხოსე ანტონიო რეიესმა მალევე დააწინაურა „მეთოფეები“, ბოლოს კი ეშლი კოულის ჩაწოდებული ბურთი მიკაელ სილვესტრისგან ჰოვარდის კარში აღმოჩნდა.

პირველი გაშვებული გოლის შემდეგ ალექს ფერგიუსონმა როი კინი, რაიან გიგზი და ფორჩუნი შეცვალა, რადგან „მანჩესტერს“ ზეგ ბუქარესტის „დინამოსთან“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი ელის.

„რეიესი შეუდარებელია — განაცხადა ნამატჩევს ვენგერმა — იგი გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვან ფეხბურთელად იქცა. აშკარაა, რომ მატჩიდან მატჩამდე უმატებს“.

„გათანაბრების შემდეგ შეგვეძლო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ „არსენალმა“ მეორე სწრაფად გაგვიტანა“ — თქვა ფერგიუსონმა.

ვაჟა ხუციშვილი

აბერდინმა ჩაშრეგბს სასიათი წაუხდინა

მაესლიშსს თავში მოსკოვი ედო

შოტლანდია

პრემიერლიგა. I ტური

აბერდინი 0:0 რეინჯერსი

რეინჯერსი: შ. კლოსი, ბუმსონგი, ხიზანიშვილი, რიკსენი, ვინალი, ბარკი (არველაძე 48), ს. პიუზი, ა. რაე, ლოვენკრანდსი, პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

19 028 მაყურებელი

დანდი 0:1 ჰართსი

0:1 პრესლი (85პ)

დანფერმლაინი 1:1 დანდი იუნ.

1:0 ტოდი (48), 1:1 მაკინტირი (75)

ჰიბერნიანი 0:1 კილმარნოკი

0:1 ბოიდი (73)

ლივინგსტონი 3:0 ინვერნესი

1:0 ბ. ობრაიენი (44), 2:0 ისტონი (57), 3:0 ლოველი (66)

სელტიკი 2:0 მოზერუელი

1:0 მაკნამარა (8), 2:0 სატონი (56)

შოტლანდიის ჩემპიონატის პირველი ტური შაბათს დაიწყო „აბერდინისა“ და „რეინჯერსის“ უგოლო თამაშით, რომელიც, ამ უგოლოობის მიუხედავად გვარიანი გამოვიდა.

მაყურებელმა იხილა ტექნიკა და ბრძოლა, თუმცა, შედეგით მასპინძლები უფრო კმაყოფილები იყვნენ, ვიდრე „რეინჯერსი“, რომელსაც, აუცილებლად მოგებით უნდოდა დაწყება შარშანდელი სამარცხვინო სეზონის შემდეგ, რომლის შედეგიც ის იყო, რომ 17 ქულით ჩამორჩა „სელტიკს“.

„აბერდინი ძალიან კარგად იყო მზად, იღბალი გვაკლდა“ — თქვა გლაზგოელთა მენეჯერმა ალექს მაკლიშმა.

შარშან მესამე ადგილზე გასულმა „ჰართსმა“ მცველ სტივენ პრესლის პენალტით მოუგო „დანდის“, „კილმანროკმა“ კი ასევე 1:0 სძლია „ჰიბერნიანს“. ლიგა „ლივინგსტონმაც“ მოგებით დაიწყო, დებიუტანტი „ინვერნეს ვალედონიანსი“ დაამარცხა, 3:0. „რეინჯერსს“ რომ მივუბრუნდეთ, მაკლიშმა 7 ახალი შენაძენიდან 5 ფეხბურთელი ათამაშა: ჟან-ალენ ბუმსონგი, გრეგორი ვინალი, ალექს რაე, ნაჩო ნოვო და დადო პრსო. „რეინჯერსს“ თავში უფრო ჩემპიონთა ლიგის თამაში ჰქონდა, რომელიც ამ კვირას უწევს მოსკოვის ცეესკასთან.

იარაკლი გამყრელიძე

დადო პრსომ საგოლედ ერთხელაც ვერ უთავა

I დივიზიონი. I ტური

ერდრი — სენტ ჯონსტონი 1:0; კლაიდი — პარტიკი 2:1; ჰამილტონი — რეითი 2:0; ქუინი — როსი 0:1; სენტ მირენი — ფოლკირკი 2:0

II დივიზიონი. I ტური

ბერვიკი — მორტონი 2:1; ფორფარი — ბრეჩინი 1:0; სტირლინგი — არბროთი 5:2; სტრანრარი — ალოა 3:0; დამბარტონი — ეარი 1:0

III დივიზიონი. I ტური

ისტ ფაიფი — მონტროუზი 1:0; გრეტნა — ალბიონი 6:0; პიტერჰედი — ისტ სტირლინგი 5:0; ქუინზ პარკი — კოუდენბითი 3:2; სტენჰაუზმური — ელგინი 0:2

ინგლისი

ჩემპიონატი. I ტური

ლიდსი 1:0 დერბი ქაუნთი

1:0 ფ. რიჩარდსონი (72)

ბარნსლი 1:1 შეფილდ იუნ.

1:0 ჰიდი (16), 1:1 ე. გრეი (52)

ქრიუ 2:2 კარდიფი

1:0 ეშტონი (53), 1:1 ჯ. რობინსონი (44), 1:2 ა. ლი (59), 2:2 ჰიგდონი (85)

იფსვიჩი 2:1 ჯილინგემი

0:1 ბ. სმიტი (24), 1:1 ნეილორი (35), 2:1 ბოუდიტჩი (45)

ლესტერი 0:0 ვესტ ჰემი

პლიმუთი 0:0 მილუოლი

პრესტონი 2:1 უოტფორდი

1:0 კროსველი (34), 1:1 დევლინი (47), 2:1 კროსველი (82)

ქუინზ პარკი 1:1 როტერჰემი

1:0 ეინსვორთი (5), 1:1 შოუ (15)

რედინგი 3:2 ბრაიტონი

0:1 მოლანგო (1), 1:1 კიტსონი (2), 2:1 ბ არპერი (41), 3:1 ფორსტერი (59), 3:2 ჯ. რობინსონი (63)

უიგანი 1:1 ნოტინგემი

1:0 მაკკალოხი (38), 1:1 გ. ტეილორი (55)

ქოვენთრი 2:0 სანდერლენდი

1:0 სუფო (84პ), 2:0 ე. ჯონსონი (90)

სტოკი 2:1 ვულვერჰემპტონი

1:0 რასელი (55), 2:0 კლარკი (70პ), 2:1 კ. მილერი (88პ)

I ლიგა. I ტური

ბრისტოლი — ტორკი 1:1; ჩესტერფილდი — ბრენტფორდი 3:1; დონკასტერი — ბლეკპული 2:0; ჰარტლპული — ბრედფორდი 2:1; ჰალი — ბორნმუთი 1:0; ლუტონი — ოლდემი 2:1; პიტერბრო — ტრანმერი 1:0; შეფილდ უენსდი — კოლჩესტერი 0:3; სტოკპორტი — ჰადერსფილდი 2:3; უოლსოლი — პორტ ვეილი 3:2; უიმბლდონი — ბარნსლი 1:1; რექსემი — სუინდონი 2:1

II ლიგა. I ტური

ბოსტონი — ოქსფორდი 1:0; ბერი — იოვილი 3:1; დარლინგტონი — გრიმსბი 1:0; ლეიტონი — მაკლსფილდი 1:3; მენსფილდი — როვერსი 0:2; ნორტსი — ჩესტერი 1:1; რაშდენი — კიდერმინსტერი 0:0; სკანთორპი — როჩდეილი 3:1; შრიუსბერი — ლინკოლნი 0:1; საუთენდი — ჩელტენემი 0:2; სუონსი — ნორთჰემპტონი 0:2; უიკომბი — კემბრიჯი 2:1,

ბელგია

იუპილერლიგა. I ტური

მუსკრონი 2:0 ანდერლეხტი

1:0, 2:0 დიმბალა (41, 61)

ბევერენი 1:1 ბრიუგე

1:0 სანოგო (2), 1:1 ბალაბანი (6)

გენტი 0:1 ბეერსხოტი

0:1 ლ. სილვა (52)

სერკლ ბრიუგე 2:2 ლოკერენი

1:0 მასურილი (28), 1:1 ბულე (38), 1:2 გრეტარსონი (75), 2:2 დეკელვერი (83)

ბრიუსელი 0:1 გენკი

0:1 ბესლია (90)

ლიერსი 1:1 სტანდარდი

0:1 ჩიტე (23), 1:1 ვილდე (67)

სენტ ტრუიდენი 0:0 მონსი

შარლერუა 2:5 ლუვიე

0:1 ჰენდერჰოვენი (34), 0:2 იშიაკუ (37), 1:2 კოშტა (44), 1:3 ესპარტერო (45), 2:3 ბრონო (48), 2:4 ოდემვინგი (77), 2:5 ოლივეირა (81)

ოსტენდე 3:3 ვესტერლო

0:1, 0:2 დოსუნმუ (32, 45), 1:2 პორტეი (53), 2:2 ჟუნინიო (56), 2:3 დოსუნმუ (61), 3:3 სანტალაბი (65)

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა. I ტური

ბანიკი — ტეპლიცე 1:2; სპარტა — სინოტი 1:1; ბრნო — დრნოვიცე 1:0; სიგმა — ბუდეიოვიცე 2:1; ზლინი — სლავია 1:0; პრეიბრამი — ოპავა 2:1. *ლიბერეცი — ბლშანი გადაიდო, ბოლეესლავი — იაბლონეცი დღეს გაიმართება*

სლოვაკეთი

I ლიგა. III ტური

ბანსკა ბისტრიცა — ჟილინა 1:1; დუბნიცა — ტრენჩინი 1:1; პუხოვი — რუჟომბეროკი 0:1; სობოტა — ინტერი 1:0; პეტრჟალკა — ტრნავა 3:1

თურქეთი

სუპერლიგა. I ტური

გენჩლერი — საქარია 1:0; დენიზლი — გაზიანთეფი 2:1; ქაისერი — ტრაბზონი 0:3; მალათია — ბეშიქთაში 1:1; რიზე — ფენერბაჰჩე 2:2; სებათი — ანკარა 1:3; ისთანბული — დიარბაქირი 1:1; სამსუნი — ანკარაგიუჯიუ 1:1; გალათასარაი — ქონი 3:1

პატრიკ, არსენალში ვრჩები

ვენგერმა ვიეირა მანიშეს არც შეადარაფ



არსენ ვენგერმა მედიას მიანიშნა, რომ მალე ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ფრანგ მწვრთნელს „არსენალთან" ერთი წელიწადიღა დარჩა და ფიქრობს, რომ კონტრაქტის გაგრძელება პრობლემა არ იქნება.

„სირთულეს ვერ ვხედავ. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, პატრიკ ვიეირამ იცოდეს, რომ არსად მივდივარ. მე და პატრიკს გაურკვეველი არაფერი გვაქვს. ახლა მის „რეალში" გადასვლაზე ლაპარაკობენ. მე იმას არ ვამბობ, რომ მან თავისი მომავალი აუცილებლად ჩემს მომავალს უნდა დაუკავშიროს, პირიქით, რომელი კლუბიც მისთვის სისხლხორცეულია, იქ უნდა ითამაშოს".

ვენგერმა განაცხადა, რომ არ აპირებს პორტუელი მანიშეს ყიდვას. ეს აზრი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ვიეირას „რეალში" შესაძლო წასვლის ამბავი გახმაურდა.

„ევროპის ჩემპიონატზე ვიყავი და მანიშე იქ ვნახე. ადრეც მენახა. შეგიძლია ჰკითხოთ პორტუელებს, მათთვის მის საყიდლად არ მიმიმართავს. მანიშე ვიეირას არაფრით ჰგავს. მას დიდ სივრცეზე შეუძლია თამაში, დაცვის დახმარებაც ეხერხება, მაგრამ უფრო შემტევია და არ მგონია, რომ ვიეირას შემცვლელი იყოს. მე არც ვაპირებ ვიეირას შეცვლას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი მერფი ტოტენჰემისთვის გაიმეტებს

„ლივერპული" ბევრი ლაპარაკის გარეშე შეელია 27 წლის დენი მერფის. მერსისაიდული კლუბი 3 მილიონ გირვანქას-აიღებს, მერფი კი „ტოტენჰემში" ითამაშებს.

ამ ნახევარმცველის წაყვანა „ჩარლტონსა" და „ევერტონსაც" უნდოდათ, მაგრამ ჩრდილოლონდონელებმა იმარჯვეს. მერფი 1997 წელს გადავიდა „ლივერპულში" პატარა ლონდონურ კლუბ „ქროუდან" ასევე 3 მილიონად და ძირითად შემადგენლობაში 2000 წლიდან, ჟერარ ულიეს ხელში დამკვიდრდა. 2002 წელს ის „ლივერპულის" სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, თუმცა, შარშან ვერც გუნდმა ივარგა და ვერც თვითონ.

ირაკლი გამყრელიძე

დელ ნერის საქმე და საქციელი დაუწუნეს

პორტუს პრეზიდენტის ფავორიტი ფერნანდესია

სევილიური „ბეტისის" დამრიგებელი ვიქტორ ფერნანდესი უახლოეს ხანს, შესაძლოა, ჩემპიონთა თასის მფლობელ „პორტუს" მწვრთნელი გახდეს. საქმე ისაა, რომ პორტუგალიელებმა ორიოდ თვის წინ დანიშნული იტალიელი ლუიჯი დელ ნერი დაითხოვეს

მართალია, პორტუელთა საკარაუდო დამრიგებლად იქაური მედია ბრაზილიური „სანტოსის" ვანდერლეი ლეშემბურგოსა და „ლეირიას" ვიქტორ პონტესაც ასახელებს, მაგრამ ვიქტორ ფერნანდესი კლუბის პრეზიდენტის, პინტუ და კოშტას ფავორიტია, ამიტომაც არაგონელს ხსენებული სენიორის გუნდში მისვლის სხვებზე მეტი შანსი აქვს.

„პორტუმ" კი „კიევოს" ყოფილი მაესტრო ლუიჯი დელ ნერი სწორედ პრეზიდენტთან უთანხმოების გამო ვერ იგუა. აპენინელს ძირითადი ყურადღება დაცვის გაძლიერებაზე ჰქონდა გადატანილი, რაც „პორტუს" თავკაცებს ფრიად არ მოეწონათ. პირად ურთიერთობებშიც დელ ნერის უტაქტობას სწამებენ. ხოლო მაშინ, როდესაც მწვრთნელის მიერ დაწუნებულ ფეხბურთელებს (იანკაუსკასი, მაკარტი, მასიელი — სამივე თავდამსხმელია) გუნდში დარჩენაარდარჩენაზე უნდა ეზრუნათ, ლუიჯი, საგანგებო კრებაზე გამოცხადებას ვინ ჩივის, სამი დღით საერთოდ იტალიაში წავიდა და ამით პინტუ და კოშტა საბოლოოდ განარისხა.

ლუიჯი დელ ნერი

მოკლედ, „ჩელსიში" წასულ ჟოზე მაურინიუს შემცვლელს ახლა თავად შეცვლიან. არაგონელი ვიქტორ ფერნანდესი კი ესპანურ პრიმერადივიზიონში 15-წლიან სადამრიგებლო კარიერას ითვლის. ამ ხნის განმალობაში იგი „სარაგოსას", „ტენერიფეს", „სელტასა" და „ბეტისს" ხელმძღვანელობდა. ჯერჯერობით ოდენ ორი ჯილდო აქვს მოპოვებული, ორივე „სარაგოსაში" მწვრთნელობისას — 1994 წელს კოპა დელ რეი და 1995-ის სეზონში ევროპის თასების მფლობელთა თასი.

ლადო ხომერიკი

ირაკლი გამყრელიძე

რონალდინიომ ჩინეთში მილიონი შეაგროვა

ამ საქმეში ბრაზილიელი რონალდინიოს დაჩრდილვა ოდენ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მეფემ, მაიკლ ჯორდანმა მოახერხა. ლაპარაკია ჩინეთში პოპულარობის მოხვეჭაზე. „ბარსელონამ" აზიის გიგანტ ქვეყანაში გუშინ იქაური „შანხაი" ბოლო ამხანაგურ მატჩში 3:0 დაამარცხა, ხოლო ფრანკ რაიკარდის ოკეანისგაღმელმა გაუჩომ ჩინელ გულშემატკივართა გულები საბოლოოდ მოინადირა. SINA COM-ის მიერ რონალდინიოსადმი მიძღვნილ საინტერნეტო ფორუმში მილიონ ოთხასი ათასმა (!) ჩინელმა ფანმა მიიღო მონაწილეობა და მათი ყურადღებით აღტაცებულმა რონიმაც გასაგები მიზეზების გამო შეკითხვათა ოდენ უმცირეს ნაწილზე მოახერხა პასუხის გაცემა. გეტყვით, რომ ამავე ვებ-გვერდზე ცოტა ხნის წინ მეორე სახელგანთქმულმა კაცმა, კალათბურთელმა კობი ბრაიანტმა ოდენ 800 ათასი გზავნილი მიიღო, რაც „კამპ ნოუს" კიჭა მონაგარს საგრძნობლად ჩამორჩება. ჯორდანისეულ რეკორდამდე კი დღემდე ვერავის მიუღწევია — ჯადოსნური მაიკის რეკორდი 2 მილიონი ჩინელის დატყვევება გახლავთ.

თუმცა, მხიარული რონალდინიო მისი ოსტატობის თაყვანისმცემელთა ამჟამინდელი რაოდენობითაც ძალიან კმაყოფილი ჩანს: „ყველა ადამიანს, ბუნებრივია, მისი მისამართით დაინტერესება სიამოვნებს და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. ძალიან მიხარია, რომ ჩემმა თამაშმა ამდენი ხალხის აღტაცება შეძლო" — თქვა გაუჩომ „ელ მუნდო დეპორტივოს" კორესპოდენტთან საუბარში.

ლადო ხომერიკი



ურჩი გადამხდელი

ვაჰ იმ დროებას... რომარიო, მისი ყოფილი ცოლი მონიკა სანტორო და მათი ქალიშვილები რომარინიო (11) და მონიკინია ტორტსა სჭრიან და ხალისობენ. გუშინ კი რობი რომარიო დააპატიმრეს, ვითარცა ალიმენტის არგადამხდელი და ამ ანგელოზივით ბავშვების უყურადღებოდ მიმტოვებელი. ფეხბურთელს 46 ათასი ოდლარი აქვს მისატანი.

სარბიელი: კრიკეტი

ნაკრებიდგენთ

ათენის ოლიმპიადა 2004

ფეხბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

1	19:0	ჩემპიონი	კოსტა რიკა	30,0
1	19:0	ჩემპიონი	პორტუგალია	6,5
1	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	8,0
1	19:0	ჩემპიონი	პარაგვაი	9,0
1	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	15,0
1	19:0	ჩემპიონი	მექსიკა	15,0
1	19:0	ჩემპიონი	იაპონია	24,0
1	19:0	ჩემპიონი	მაროკო	30,0
1	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,0
1	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	65,0
1	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	3,75
1	19:0	ჩემპიონი	კორეა	30,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი.
12.08.2004

2	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	2,25
2	19:0	პირველი ადგილი	მექსიკა	2,95
2	19:0	პირველი ადგილი	სამხ. კორეა	6,3
2	19:0	პირველი ადგილი	მალი	4,8

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი.
12.08.2004

3	19:0	პირველი ადგილი	იტალია	1,85
3	19:0	პირველი ადგილი	პარაგვაი	2,9
3	19:0	პირველი ადგილი	განა	5,7
3	19:0	პირველი ადგილი	იაპონია	9,0

ჯგუფი გ. პირველი ადგილი.
12.08.2004

4	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	1,35
4	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	11,5
4	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	5,4
4	19:0	პირველი ადგილი	ტუნისი	5,2

ჯგუფი დ. პირველი ადგილი.
12.08.2004

5	19:0	პირველი ადგილი	ერაყი	21,0
5	19:0	პირველი ადგილი	კოსტა რიკა	6,5
5	19:0	პირველი ადგილი	მაროკო	3,6
5	19:0	პირველი ადგილი	პორტუგალია	1,45

კალათბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

6	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	85,0
6	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	7,7
6	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	85,0
6	19:0	ჩემპიონი	ლიტვა	6,0
6	19:0	ჩემპიონი	აშშ	1,35
6	19:0	ჩემპიონი	იტალია	20,0
6	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	13,0
6	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	11,0
6	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	13,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

7	19:0	პირველი ადგილი	ესპანეთი	2,9
7	19:0	პირველი ადგილი	იტალია	5,0
7	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	2,4
7	19:0	პირველი ადგილი	ჩინეთი	27,0
7	19:0	პირველი ადგილი	ახ. ზელანდია	35,0
7	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	2,7

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი. კალათბურთი
14.08.2004

8	19:0	პირველი ადგილი	პუერტო რიკო	17,0
8	19:0	პირველი ადგილი	ლიტვა	4,6
8	19:0	პირველი ადგილი	აშშ	1,15
8	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	5,9
8	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	35,0
8	19:0	პირველი ადგილი	ანგოლა	105,0

ხელბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

9	19:0	ჩემპიონი	გერმანია	3,75
9	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	6,0
9	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	8,0
9	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	12,5
9	19:0	ჩემპიონი	სლოვენია	14,0
9	19:0	ჩემპიონი	ეგვიპტე	45,0
9	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	81,0
9	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,45
9	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	3,65
9	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	500,0
9	19:0	ჩემპიონი	კორეა	251,0

ხელბურთი. ქალები. ჩემპიონი
12.08.2004

10	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	79,0
10	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,5
10	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	81,0
10	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	21,0
10	19:0	ჩემპიონი	უკრაინა	14,0
10	19:0	ჩემპიონი	დანია	5,3
10	19:0	ჩემპიონი	კორეა	3,0
10	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	3,2
10	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	101,0

წყალბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

11	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	3,8
11	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
11	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	30,0
11	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	2,7
11	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	5,5
11	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	14,0
11	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
11	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	30,0
11	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	7,0

ფრენბურთი. კაცები. ჩემპიონი
14.08.2004

12	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
12	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,1
12	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	5,1
12	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	6,5
12	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	10,5
12	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	26,0
12	19:0	ჩემპიონი	ჰოლანდია	14,0
12	19:0	ჩემპიონი	პოლონეთი	41,0
12	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	65,0
12	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,1

ფრენბურთი. ქალები. ჩემპიონი
14.08.2004

13	19:0	ჩემპიონი	იაპონია	70,0
13	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,3
13	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	3,1
13	19:0	ჩემპიონი	კუბა	4,3
13	19:0	ჩემპიონი	იტალია	8,5
13	19:0	ჩემპიონი	აშშ	10,0
13	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
13	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	45,0

ჩოგბურთი. კაცები. ჩემპიონი
12.08.2004

14	19:0	ჩემპიონი	ნოკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰაასი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	ფედერერი	2,1
14	19:0	ჩემპიონი	როდიკი	3,2
14	19:0	ჩემპიონი	ჰიუიტი	11,0
14	19:0	ჩემპიონი	ა. აგასი	19,0
14	19:0	ჩემპიონი	რუზეცკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	მოია	25,0
14	19:0	ჩემპიონი	კორეა	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰენმანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფერერო	40;0
14	19:0	ჩემპიონი	მირნი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	გროუანი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	მალისე	151,0
14	19:0	ჩემპიონი	კუერტენი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	კიფერი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	ფიში	65,0
14	19:0	ჩემპიონი	იოჰანსონი	81,0
14	19:0	ჩემპიონი	რობრედო	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰრბატი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	საფინი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ნალბანდიანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფილიპუსისი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ანჩიჩი	40,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

მესამე და უსამართლო

თურქები გოლებით და შურით გავაფითრეთ

ბულგარეთში გამართულ ევროშესარჩევზე კარგი გამოსვლის შემდეგ საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელა ნაკრებმა პოლონურ ტურნირზეც ყველა მეტოქე დაიბრიყვა და დაუმარცხებელი სერია თურქულ აუზშიღა შეწყვიტა. სოსო მაისურაძის გაწვრთნილმა 17-წლამდელებმა სტამბოლის საერთაშორისო ტურნირიდან მესამე ადგილი და აპლოდისმენტები ჩამოიტანეს.

ჩვენი ჭაბუკები იოლად გავიდნენ ჯგუფიდან და ნახევარფინალური ჯახი ფრანგ თანატოლებთან მოუწიათ. ქართველებს წასაგები არაფერი ჰქონდათ, ორი ტაიმის შემდეგ 8:6 იგებდნენ, თუმც აუზში ატეხილ დაკა-დაკას ბუტიკაშვილისა და ნიკოლაიშვილის გაძევება მოჰყვა, დარჩენილ დროში კი ფრანგებმა მაინც გაგვტეხეს — 13:11. რაც შეეხება ქართველ მეგოლეებს — სამი გოლი ნაკრების ლიდერმა და ბომბარდირმა ზურაბ რურუამ შეაგდო, ბუტიკაშვილმა და ქენქაძემ ორ-ორი გაიტანეს, ხოლო თითო-თითო ბურთი კოტარიამ და ცირეკიძემ მიითვალეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველმა გაშწარებულ გულზე თურქებს 17:7 სძლიეს (რურუა 6, კოტარია 3, ქენქაძე 2, ბაღათურია 2, რაფავა, ბუტიკაშვილი, კიღურიძე, ცირეკიძე). ტურნირის ჩემპიონები კი ჩვენი თანაჯგუფელი სერბები გახდნენ, რომლებმაც ფინალში 12:10 სძლიეს ფრანგებს.

ზემოთ აპლოდისმენტები იმიტომ ვახსენეთ, რომ ტურნირის ხორვატ კომისარს სოსო მაისურაძისთვის უთქვამს, ინდივიდუალური პრიზები რომ დაგვეწესებინა, ყველას თქვენი შეგირდებს გავატანდითო. გარდა ამისა, თურქებთან შეხვედრისას რუს, ფრანგ და სერბ წყალბურთელებს ისე უქომაგიათ ჩვენებურთათვის, რომ მასპინძლები შურით გაფითრებულან. სოსო მაისურაძეც კმაყოფილი დარჩენილა მესამე ადგილით და თამაშის ხარისხით, მაგრამ მსაჯებიც „ღვაწლიც“ არ დაივიწყა — ერთი თურქი შეგვიჩნდა, ჩვენი სამი მატჩი იმსაჯა და თვალში ამოგვიღოო.

სტამბოლის ტურნირი დასრულდა, წინ კი სექტემბერში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია, სადაც მაისურაძის სამწყსოს სამი ლეგიონერი დაემატება — მანჭულაშვილი, ქუმბერიძე და გოგელია. ისინი 18 წლისანი არიან და თურქეთშიც ამიტომ არ უბურთავიათ. ეს ბიჭები მხოლოდ წყალბურთზე რომ ფიქრობდნენ და ზღაპრული სავარჯიშო პირობები ჰქონდეთ, იქნებ მათი წარმატებისთვის ამხელა ყურადღება არც მიგვექცია, მაგრამ ბიჭები ხომ არასტანდურტულ აუზში ვარჯიშობენ და ზამთრობით ორთლისგან ერთმანეთს ვერ ხედავენ, ხოლო მერე მშობლებისგან შეკოწიწებული ფულით ბოლო დღეს მიდიან ტურნირზე.

ილია ნანოგაშვილი



REUTERS ბელგრადიდან

ალენ აივერსონი და მისი ამერიკა, როგორც იქნა, ამუშავდნენ

სადაა ზონური ბაბმა?

ამერიკელებმა ბელგრადი ლაბირინთად

ყველაფერი არც ისე ცუდად ყოფილაო, თქვეს ამერიკელებმა მსოფლიოს ჩემპიონი სერბების დამარცხების შემდეგ. ნბა-ს ნაკრებმა ბელგრადში, მორიგ სპარინგ-მატჩში სერბეთ-ჩერნიგორია 78:60 დასცა და კარსმომდგარი ოლიმპიადის წინ ხალისი და განწყობა მოიმარაგა.

ამერიკელები ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მარცხის „ამოსაღებად“ იყვნენ მომართულები, სერბებს კი აბა, რა დაავიწყებთ მილოშევიჩის დროს ამერიკელებისგან დაუზარებლად მიძღვნილ ფრთოსან რაკეტებს. ჰოდა, პარასკევს ღამით ორი დიდი საკალათბურო სკოლის ჯახზე 18-ათასმა ბელგრადელმა დარბაზი ბოლომდე შეავსო. თამაში კი ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც მღელვარე სერბები ისურვებდნენ და ვერც ანგარიში დაუმშვიდებთ მხურვალე გულებს.

მასპინძელთა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ერთი დიდი შეცდომა დაუშვა, შეგირდებს ზონური დაცვის აშენების ნაცვლად ერთი-ერთზე თამაში დაავალა, მაგრამ ამით სერბებმა ბევრი ვერაფერი იხეირეს, უფრო სწორედ, საერთოდაც ვერაფერი — ერთი დეიან ბოდიროგამ შეძლო ნედლი ამერიკელის კარმელო ენტონის ერთი-ორჯერ გაბითურება და პუბლიკას ტაში და ღრიანცელი მოსწყვიტა. არადა, სერბებს აკლდათ რჩეული ნბა-ელები — სტოიაკოვიჩი, დივაცი, იარიჩი, დრობნიაკი და რებრაჩა და მით უმეტეს, ევროპაში მოთამაშეებით დაკომლექტებული გუნდი ტაქტიკის არჩევისას დიდ გაწამაწიაში არ უნდა ჩავარდნილიყო.

ერთი-ერთზე თამაში და დაცვა ხომ ამერიკელების მოგონილია და ისინი სწორედ ევროპულ ზონასთან არიან მწყრალად. ამიტომაც წაადგეს იტალიასთან და გაუჭირდათ გერმანიასთან, ახლა კი უკვე პირველი ტაიმის შემდეგ „დრიმ თიმი“ 42:26 იგებდა და საქმეც მოთავებული ჰქონდა.

სტუმრებმა პირველი მეოთხედის შემდეგ იოლად გაშიფრეს მასპინძლები და მთელი გაქანებით ჩართეს ნბა-ს წარმოების მანქანა. დაიწყო მეორე მეოთხედი და ამერიკელები 14:0 გაექცნენ სერბებს. ევროპელები ამაოდ აწყდებოდნენ ოკეანგაღმელთა დაცვით სიმაგრეებს, ბურთები კი მათ კალათში ცვიოდა. ამერიკელთაგან ყველაზე მეტი, 16 ქულა ტიმ დანკარმა მოიხვეჭა. 11 მოუგროვდა ლებრონ ჯეიმსს, 10 კი შონ მარიონს. მასპინძლებში 18 ქულით გამოირჩა ცქვიტი იგორ რაკოჩევიჩი, ლიდერ ბოდიროგას ანგარიშზე კი 14 ქულაა.

აღსანიშნავია, რომ დეიან ბოდიროგამ ტრავმით ითამაშა. მისმა მოძღვარმა ჟელიმირ ობრადოვიჩმა თქვა, იმდენად უნდოდა ამერიკელების წინააღმდეგ თამაში, სკამზე ვეღარ დავსვიო.

„დრიმ თიმს“ ოლიმპიადამდე მოსამზადებელ პროგრამაში სტამბოლში თურქებთან წყვილი მატჩიღა რჩება.

კოტე ყორშია

ბოსტონმა პეიტონი იშოვა

ისტორიულმა „მოსისხლეებმა“ „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ და „ბოსტონ სელტიქსმა“ ამ უქმეებზე დიდი გაცვლა გაჩარხეს — „ლეიკერსმა“ „ბოსტონში“ გერი პეიტონი და რიკ ფოქსი გაუშვა, იქიდან კი ჩაკი ჯეტკინსი, კრის მიმი და მარკუს ბანქსი წამოიყვანა. ვერ ვიტყვით, რომ ამ გაცვლამ ნბა შეძრა, მაგრამ ყურადღების მიქცევა თუნდაც გერი პეიტონის გამო ღირს.

„ბოსტონმა“, როგორც იქნა, იშოვა ხეირიანი გამთამაშებელი. რა თქმა უნდა, „კელტები“ ისურვებდნენ, პეიტონი ხუთი წლით ახალგაზრდა მაინც ყოფილიყო, მაგრამ მათ 35 წლის გერისაც ეიმედებათ.

პეიტონის ნაცვლად მისი კარიერა და მაჩვენებლები ლაპარკობენ: ნბა-ში 15-წლიან მოღვაწეობაში მას დაუგროვდა 9 ოლ სტარი, 19 956 ქულა (29-ე შედეგი ლიგის ისტორიაში), 8039 პასი (მე-6 შედეგი) და 2243 ჩაჭრა (მე-5 შედეგი). 90-იანი წლების ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავს კარიერის დამთავრებიდან რამდენიმე წელიწადში, ალბათ კალათბურთის დიდების დარბაზში აირჩევენ, მით უმეტეს, მის კოლექციაში 1996 წლის ატლანტის და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადების ოქროებია.

ერთადერთი, რაც პეიტონს აუსრულებელი დარჩა, ნბა-ს ჩემპიონობაა. ამერიკელი კალათბურთელისთვის ყველაზე ფასეულ ჯილდოს თითქმის შესწვდა 1996 წელს, როცა შონ კემპთან ერთად „სიეტლ სუპერსონიქსი“ პლეი ოფის ფინალში გაიყვანა, მაგრამ იქ მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან“, აბა, რას გახდებოდა.

პეიტონი სწორედ საჩემპიონო შანსის ძიებამ მიიყვანა „ლეიკერსში“ და აქაც ფინალამდე მივიდა, მაგრამ იქ ლოსანჯელესელებმა „დეტროიტს“ ვერაფერი მოუხერხეს, 1:4 დამარცხდნენ, რაც პეიტონის კისერზეცაა — ახალგაზრდობაში ნბა-ს ერთ-ერთმა უყოჩაღესმა დამცველმა ახლა ვეღარაფერი მოუხერხა ოპონენტ ჩონსი ბილაფსს, რომელიც საბოლოოდ ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე გახდა.

„ლეიკერსამდე“ პეიტონმა რამდენიმე თვე „მილუოკიში“ თამაშიც მოასწრო...

აღნიშვნის ღირსია რიკ ფოქსიც, კანადელი ფორვარდი, რომელმაც ნბა-ში 13 სეზონი მოილია და, სანამ „ლეიკერსში“ ექვს სეზონში სამჯერ იჩემპიონებდა, სწორედ „ბოსტონში“ თამაშობდა, თანაც „კელტების“ კაპიტანიც გახლდათ.





პრედრაგ სტოიაკოვიჩს „საკრამენტოში“ გული აღარ უდგება

ჩიკაგოში მინდა!

ამ ზაფხულს იმდენმა მოთამაშემ შეიცვალა გუნდი, რომ ვის რა გაუკვირდება, მაგრამ თურმე ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. შაკილ ონილის, ტრეისი მაკგრეიდის, სტივ ფრენსისის, გერი პეიტონის, კენიონ მარტინისა და სხვათა შემყურე პრედრაგ სტოიაკოვიჩს „საკრამენტო კინგზში“ გული აღარ უდგება და აუჩემებია, მეც უნდა გამოვიცვალო გუნდი, ბინა და ჰაერიო. არადა, ჰეჯა „საკრამენტოში“ თითქოს ბედნიერი იყო — „კინგზი“ ყოველ პლეი ოფს საჩემპიონო ამბიციით იწყებდა, ხოლო სტოიაკოვიჩს 2003-04 წლების სეზონი ზღაპრული გამოუვიდა — მატჩში საშუალოდ 24,2 ქულას აგროვებდა და მაკგრეიდისა და აივერსონის შემდეგ მესამე იყო ბომბარდირთა დავაში. ამასთან ეს შედეგი ნბა-ს ისტორიაში ევროპელთათვის მეორეა.

თანაც სტოიაკოვიჩის წასვლა რომ მოეპრიანა, თურმე არც ჰქონია გადაწყვეტილი, საით გასწევდა. ახლა მას თვალში „ჩიკაგო ბულზი“ მოსდის. უფრო ზუსტად, ქალაქი ჩიკაგო, თორემ „ბულზი“ ექვსი წელია, ჯახირობს და არც ახლო მომავალში ელოდება დიდი გამარჯვებები.

„მიყვარს ეს ქალაქი. ჩიკაგოში ბევრი მეგობარი მყავს და საერთოდაც იქ ბევრი იუგოსლავიელი ცხოვრებს. არც საკრამენტოზე ვარ გამწყრალი — არც ქალაქზე მით უმეტეს, არც კლუბზე, მაგრამ გამიგეთ, „ჩიკაგოში“ მინდა.“

უნდა კარგია! „ბულზს“ ხეირიანიც არავინ ჰყავს, რომ „კინგზს“ სტოიაკოვიჩში გაუცვალოს. ერთი ჯამაალ კროუფორდი ებადა და ისიც „ნიუ იორკს“ აჩუქა ამ ორი დღის წინ. მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ (1998 წელიდან) ჩიკაგოელები ხომ იმით არიან დაკავებულები, რომ თუკი ვინმე ნორმალური ჩაუვარდებათ (ელტონ ბრენდი, რონ არტესტი, ბრედ მილერი, კროუფორდი), აიღებენ და სხვას ჩუქნიან.

კოტე ყორშია

ჟაკ როგი

სოკ-ი ჯუჯუს ირეცხს მექრთამეებს გარეცხავენ

ბულგარელი ივან სლავკოვი და მისი 4 ამფსონი — სერბი გორან ტაკაჩი, უნგრელი გაბორ კომიათი, ეგვიპტელი მაჰმუდ ელ ფარნავანი და კუვეიტელი მაჰმუდ მუთალებ აჰმადი ის ხალხია, BBC-მ საქვეყნოდ რომ მოჭრა თავი და ფარული კამერით გადაიღო მათი მექრთამეობა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე ვწერდით, ახლა კი იმ შედეგებზე მოგახსენებთ, რაც ამ ჟურნალისტურ გამოძიებას მოჰყვა.

სოკ-ის ეთიკურმა კომისიამ განიხილა მტკიცებულებები და მექრთამე ჩინოვნიკებს ათენის ოლიმპიადისთვის აკრედიტაცია და ყოველგვარი ოფიციალური უფლებამოსილება ჩამოართვა. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი პაკ როგი კი ცოფებს ყრიდა — „რასაც ვგრძნობ, ამას იმედგაცრუება აღარ ჰქვია, უბრალოდ, განრისხებული ვარ. ამის მიზეზი ზოგიერთის ყოფაქცევაა, მათი ქმედებები გვარცხვენს. ძალიან საწყენია, როდესაც ზოგიერთი პიროვნება უბრალოდ პატივს არ სცემს ჩვენს კანონებს.“

ეთიკურ კომისიას სლავკოვისა და მისი თანამზრახველების არგუმენტები — ჩვენს როლს ვთამაშობდით და თაღლითი ბიზნესმენების გამოჭერა გვინდოდაო — საზოგადოებას სასაცილოდ არ ეყო და ყველანი ამტომაც მოკვეთეს წლევანდელი თამაშებიდან, თუმცა საბოლოო განაჩენს სოკ-ი 2005 წლის ივლისში გამოიტანს.

თუ „საქმოსნებს“ ბრალდება დაუმტკიცდათ, სოკ-ი მათ სამუდამოდ მოკვეთს, მანამდე კი ყოველგვარი უფლებამოსილება დროებით აქვთ ჩამორთმეული. ჟაკ როგმა ბრალდებულებს პირობა მისცა, თავის დაცვის საშუალება გექნებათო, თუმცა ისიც დასძინა, მარტო ეს ხუთეული კი არა, ვინც კი მცირე კავშირშია ამ საქმესთან ყველა დაისჯებაო.

ბულგარეთის სპორტის მინისტრმა ვასილ ივანოვმა დანანებით აღნიშნა — „ძალიან უსიამოვნო სიტუაციაში ვართ, იმედია, ჩვენს სპორტსმენებს ეს ამბავი მორალურად ვერ გატეხს.“

უკანასკნელი კი, ვინც სოკ-მა მექრთამეობის გამო თავისი რიგებიდან გარიცხა, სამხრეთკორეელი კიმ იუნ-იონგი გახლდათ, თუმცა კიმს უფრო დიდი სასჯელიც ერგო. ქვეყნის სასამართლომ ის 2,5 წლით მიაბრძანა ციხეში.

ივან სლავკოვი მაგრად გაება

რა ბედი ეწევათ ჟურნალისტების მიერ გამოჭერილ ჩვენს ანტიგმირებს, ამას მომავალი გვიჩვენებს, ერთი კი ფაქტია, ათენში მხოლოდ ტურისტების სტატუსით თუ მოახერხებენ ჩასვლას.

ლადო ფულუკიძე

ედვარდსის მარცხი ჯონსის შანსია



ტორი ედვარდსი

მსოფლიოს ჩემპიონი 100 მეტრზე სირბილში, ამერიკელი ქალბატონი ტორი ედვარდსი ორი წლით ჩამოაშორეს სპორტს და შესაბამისად ჩაიშალა ოლიმპიადაზე მისი გამგზავრება.

მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) მიერ ჩატარებულმა კვლევამ მის სისხლში აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩინა და საქმე აშშ-ს საარბიტრაჟო კომისიას გადაეცა. კომისიამ ედვარდსი 2 წლით მოკვეთა, აშშ-ს ანტისადოპინგო სააგენტოს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ტრევის ტაიგარტმა განაცხადა, რომ სასჯელი მინიმალურია და ამერიკულ მხარეს მისი შემცირება აღარ ძალუძს.

საარბიტრაჟო სასამართლომ სცადა გამონაკლისის სახით ედვარდსისთვს ათენში ასპარეზობის უფლება მოეპოვებინა, თუმცა IAAF-მა ასეთი გამონაკლისის დაშვება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

ედვარდსს კიდევ აქვს აპელაციის შეტანის ვადა, თუმც საეჭვოა, რამე გაახერხოს. ტორის ადვოკატ ემანუელ ჰადსონის სიტყვებით, სპორტსმენი ძალიან გულდაწყვეტილი და იმედგაცრუებულია.

აკრძალული ნივთიერება „ნიკეთამიდი“ მას ჯერ კიდევ კიდევ აპრილში მარტინიკაზე გამართული ტურნირზე აღმოუჩინეს, თუმცა მაშინ სპრინტერი აცხადებდა, გლუკოზის შემცვლელი წამალი, რომელიც მან მიიღო „ნიკეთამიდს“ კი შეიცავდა, მაგრამ თავად ამის შესახებ არაფერი იცოდა. თანაც მარტინიკის ტურნირზე ფულადი ჯილდოც არ ყოფილა და ეს ასპარეზობა დოპინგის მისაღებად არც კი ღირდაო.

ედვარდსის თანამემამულე და კონკურენტ მერიონ ჯონსს კი მშვენიერი შანსი ეძლევა, ოლიპიური ოქრო შეინარჩუნოს. ათენში ის ალბათ ედვარდსის ნაცვლად გაემგზავრება.

ლადო ფულუკიძე



მერიონ ჯონსი ათენის ათინათს ხედავს



ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს თითქოს სანერვიულო არ აკლიათო და ათენის ცაში დირიჟაბლის გამოჩენის გამო ახალი თავის ტკივილი გაუჩნდათ.

ეს დირიჟაბლი, მოგეხსენებათ, აღჭურვილია უახლესი სათვალთვალო აპარატურით. მისი საშუალებით იმ სიმაღლიდან მიწაზე დავარდნილი ასანთის კოლოფზეც კი შეიძლება წარწერის ამოკითხვა.

დირიჟაბლიც პრობლემა გამხდარა

ამას გარდა, ამ დირიჟაბლზე დამონტაჟებულია ქიმიური ნივთიერებების აღმოსაჩენი უზუსტესი ხელსაწყოები, მაგრამ აი, გამოჩნდნენ საბერძნეთის ადამიანის უფლებათა დამცველნი, რომლებმაც ამ დირიჟაბლის გამო სასამართლოში საჩივარი შეიტანეს.

აქტივისტები თვლიან, რომ ამგვარი დირიჟაბლის არსებობა საბერძნეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმად მოქალაქენი უნდა გაეფრთხილებინათ იმის თაობაზე, რომ ისინი არიან ვიდეოთვალთვალის ტერიტორიაზე.

ვინ იქნება პრომეთე?

ის, თუ ვინ აანთებს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ცეცხლს, ბუნებრივია, ამას საორგანიზაციო კომიტეტის წევრები საიდუმლოდ ინახავენ, ჟურნალისტები და სპეციალისტები კი ამასთან დაკავშირებით მარჩიელობენ. მათი ვარაუდით, „პრომეთე“ შეიძლება იყოს საბერძნეთის კალათბურთელთა ლეგენდა ნიკოს გალისი, რომელმაც 1987 წლის ევროპის ჩემპიონატში თანამემამულეთა გამარჯვებაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანა.

საბერძნეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ნიკოს გალისის შესაძლო კონკურენტებად მიიჩნევენ სპრინტერ კოსტას კენტერისს და ძალოსან პიროს დიმასს.

ბოლო დრომდე ერთ-ერთ ასეთ კანდიდატად თვლიდნენ საბერძნეთის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტან თეო ზაგორაკისს, მაგრამ იგი უკვე მონაწილეობდა ათენის ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში და ამდენად მისი სახელი ოლიმპიური ცეცხლის დამნთებთა შესაძლო კანდიდატებია სიიდან გამოირიცხა.



ნიკოს გალისს იქნებ ოლიმპიადა გაახსნევინონ

ბერდება, მაგრამ არ ბეზრდება

ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შესახებ საბოლოო მონაცემები ჯერ არ არის, ამიტომ შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ ვინ იქნება ამ თამაშების სარბიელზე გამოსულთაგან უხუცესი და ამგვარ ასპარეზობებში მონაწილეობის სიმრავლით რეკორდსმენი. ოლიმპიადის მონაწილეთაგან ამგვარად გამორჩეული სპორტსმენი შესაძლოა აღმოჩნდეს ლატვიელი ტყვიის მსროლელი ამანასე კუზმინი, რომელიც გუშინწინ ლატვიის ეროვნული თანხმობის თანაპარტიელებმა ათენში საასპარეზოდ გააცილეს. იგი 57 წლისაა და მშვენიერ სპორტულ ფორმაში გახლავთ. ეს თამაშები ათანასესთვის მეშვიდე იქნება.

სოტორამ ჩაახუჭუჭა

როდიკმა ჯერჯერ ვერ დაამსხვრია



REUTERS ცინცინატიდან

ლეიტონ ჰიუიტმა და ანდრე აგასიმ ცინცინატიში საკუთარი თავი და ერთმანეთი იპოვეს

მასტერსის სერია
ცინცინატი. ჰარდი.
საპრიზო 2,45 მილიონი €

მეოთხედფინალი

ენდი როდიკი (2, აშშ) — **ტომი ჰაასი** (გერმანია) 6:3, 6:3; **ანდრე აგასი** (11, აშშ) — **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) 7:6 (14:12), 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (10, ავსტრალია) — **მარატ საფინი** (14, რუსეთი) 6:4, 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) 6:2, 6:3

ნახევარფინალი

აგასი — **როდიკი** 7:5, 6:7 (2:7), 7:6 (7:2); **ჰიუიტი** — **რობრედო** 6:3, 6:2

ტურნირის მსვლელობისას ძირითადად ორი მეჩოგნის განსაკუთრებულ მოტივირებულობაზე ვსაუბრობდით და საქმეც ისე აეწყო, რომ გუშგვიანდამინდელ ფინალში სწორედ ეს ორი, ყველაზე მეტად მოტივირებული მეჩოგნე უნდა შებმოდა ერთმანეთს. ცხადია, ანგარიშთა გადაკითხვითაც მიხვდებოდით, რომ ანდრე აგასისა და ლეიტონ ჰიუიტზე მოგახსენებდით.

დიდი მუზარადის ყველა ტურნირის მომგები ბებერი ფაკირი, ვინაც წლეულს — ცალკერძ ბარძაყის ტრავმის გამო, ცალკერძ სხვა რამ მიზეზთა წყალობით — ცინცინატიმდე ერთ ქეციან ფინალშიც ვერ ითამაშა, ამ ტურნირს აშშ-ის ღია პირველობისთვის სატრამპლინო შეჯიბრად მიიჩნევდა. სწორედ აქ გეგმავდა თუნდაც რამდენიმე წარმატებული შეხვედრის გადაბმას, რათა ფლეშინგ მედოუზზე ჩვეული სითამამით საჩოგნაოდ საჭირო თავდაჯერებულობა და ფსიქოლაჯი შეემარაგებინა.

კარლოს მოიასთან მეოთხედფინალურ მატჩამდე ჯერ კიდევ ბევრს არ სჯეროდა, 34 წლის არმენოამერიკელი მასზე ახალგაზრდა და წლეულს უფრო წარმატებული მეტოქეებისთვის მართლაც სერიოზულ საფრთხეს რომ წარმოადგენდა. მაგრამ ნატიფი ესპანელის ძლევისას უკვე აშკარა გახდა, რომ აგასი ახლა ჭეშმარიტად ბრწყინვალე ფორმაშია და არავის წინააღმდეგ ჩოგნის ამკანკალებელი არ არის. ვეტერანმა მოიას უდაბაბულეს პირველ სეტში ექვსი სეტბურთი გაუარარავა, მეორეში კი უკვე თავიდანვე მიეძალა და გართულებების გარეშე აჯობა. ეს მათი მხოლოდ მესამე საკარიერო დაპირისპირება გახლდათ და ამერიკელი ჯადოკაცი მალიორკელს ნაამმატჩევს 2:1 უგებს.

ნახევარფინალში კი მილეთმა სულაც ათწლეულებს გასაყოლებელი შედეგი იხილა — მრავალფაზა, მრავალსტილა გათამაშებებით, ორმხრივი ეისბარაქიანობით, გასწვრივებით, შემოვლებულებით და ჩახვეულ-ჩახუჭუჭულებით. მოკლედ, ისეთი შეხვედრა იყო, ჩიტის რძე არ აკლდა. მართალია, პირველ ორ სეტში ხაზის მსაჯებმა ერთი ოთხჯერ-ხუთჯერ მაგრად მიჰქარეს და თანაც — სულ აგასის სასარგებლოდ, მაგრამ ამის გამო საბოლოო შედეგის სამართლიანობა ეჭვსქვეშ მაინც ვერ დადგება. ეს იმიტომ, რომ აგასიმ მთელი მატჩი უფრო სტაბილურად ჩაითამაშა, ჭაბუკი თვისტომი ერთ (!) საბრეიკპოინტეზეც კი არ გაიკარა და, საერთოდაც, უფრო მრავალფეროვანი, უფრო შუშპარა და უფრო შემოქმედებითი გახლდათ.

ენდიბოიმ, ვისაც ტორონტობის ფინალში ჯოჯერ ფედერერთან წაგების შემდეგ შარშან ნაშოვნი ზედიზედ უკვე მეორე ტიტულის დათმობა მოუხდა, მატჩის განმავლობაში ანდრეს წილი კორტი 29 ეისით მოაოხრა, მაგრამ მისი დაშინება და გატეხა ეგრეც ვერ შეძლო. თავადაც ზორბად გარჯილმა, სიყმაწვილის კერპს მან ერთი გოჯითაც ვერ დაახევინა და პირველი გათამაშებიდან ორ საათისა და ჩარექის თავზე მეექვსე საკარიერო შეხლაში უკვე მეხუთედ მოუყარა ჩოქი.

მატჩს ათი ათასზე მეტი მაყურებელი ესწრებოდა და ნამატჩევს ამ ხალხმა საუცხოო სპექტაკლის დამდგმელ ორსავე ამერიკელს ჰალალი და დგომელა გაცილება მოუწყო...

ამ მატჩის ფონზე ძალზედ ცალკორტა და უინტერესო გამოდგა ლეიტონ ჰიუიტისა და ტომი რობრედოს სანახევარფინალო განდაგანა. კისკასმა ოზბიჭმა, ვინაც — აგასისა არ იყოს — ახლა მართლაც საჩემპიონო ფორმაშია, თავის აქამომდელ თულფებს ამ ტურნირზე საიმედო და ღონიერი მოწოდებაც ზედ დაურთო და ახლა ადრინდელზე შეუდარებლად უფრო სერიოზულ ძალად მოსჩანს.

გუშდამ მას ის თულფიც ექნებოდა, რომ მასზე თერთმეტი წლით უფროს მეტოქეს წინა დღეს გაცილებით რთული და დამღლელი ბრძოლა გადახდა. ისე კი, აგასის და მას აქამდე შვიდჯერ ეპაექრათ და 23 წლის ავსტრალიელი 4:3 იგებდა.

ლევან კელაურაძე

WRC

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
მეცხრე ეტაპი. ფინეთი



REUTERS იუვასკიულადან

მარკუს გრონჰოლმმა მშობლიური თასი მეოთხედ მოიგო

ჩემპიონს ავარიმზე მომქალა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფინელებმა — მარკუს გრონჰოლმმა და შტურმანმა ტიმო რაუტიაინენმა თითქმის წელიწადნახევრიანი, ანუ 17-ეტაპიანი ხელმოცარვის შემდეგ, როგორც იქნა, მოახერხეს რბოლის მოგება.

სუომელთა „პეჟომ“ ყველას აჯობა ადრე „ათასი ტბის რალის“ სახელით ცნობილ ეტაპზე და სავიცეჩემპიონო შანსიც გაუჩნდა. გრონჰოლმს მშობლიური რალი ადრე სამჯერ, თანაც ზედიზედ (2000-02) მოუგია, შარშან კი ესტონელმა მარკო მარტინმა მიაღწია წარმატებას და პირველი არასკანდინავიელი გამარჯვებულიც გახდა, თუმც მისი სამშობლო „ტრასიდან“ ორ ნაბიჯზე, იქვე ფინეთის ყურეს ძირშია.

მიყოლებით მეორე ავარიული გამოთიშვით მეტად გაირთულა სატურნირო ვითარება მოქმედმა ჩემპიონმა პეტერ სოლბერგმა, ლიდერ სებასტიენ ლოებთან უკვე 22 ქულას აგებს და საეჭვოა, ტიტული შეინარჩუნოს. ის კი არა, ნორვეგიელ პილოტს დიდი ომის გადატანა მოუწევს ცხრილში მეორე ადგილზე დასარჩენად.

სოლბერგს მარცხი დასაწყისშივე შეემთხვა, ერთ-ერთ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და გზასაცდენილი „სუბარუ“ თხრილში მიამტვრია. ეკიპაჟი ბრძოლას გამოეთიშა, მაგრამ მექანიკოსებმა მეორე დილამდე შეძლეს მანქანის ფეხზე დაყენება და პეტერმაც ჯირითი გააგრძელა, ცხადია, უკონკურსოდ და მართალია, ოთხი ჩქაროსნული მონაკვეთი მოიგო, მაინც უადგილოდ დარჩა.

თავიდან ფინელი ჰარი როვანპერა იყო წინ, მაგრამ ისიც გზას გადასცდა და „პეჟო“ გვარიანად დალეწა. ისიც აპირებდა მეორე დღეს გაგრძელებას, მაგრამ გუნდის უფროსობა მისი ჯანმრთელობის გაურესებას მოერიდა და ნება რა დართო.

მიწიან-ასფალტიან და უამრავ ტრამპლინიან გზებზე სარბოლო სამდღიურში ბლომად ავარია მოხდა, რომელთაგან ერთი კინაღამ ტრაგიკულად დასრულდა. ფინელ არი ლაივოლას „მიცუბისიმ“ ოთხი მაყურებელი დააშავა, რომელთაგან ერთი საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

არც გალიდერებულ გრონჰოლმს აკლდა პრობლემები, მის ბედაურს სიჩქარეთა კოლოფი მოეშალა (სამი სიჩქარეა „მუშაობდა“) და შესაცვლელი გახდა. ფინელმა ტემპი კი დაკარგა, მაგრამ მეწინავეობა არ დაუთმია და ექვსწლიან კარიერაში მე-16 დიდი პრიზი მოიპოვა.

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	3სთ; 07.16,1
2	მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი)	ჩამორჩა 34,7
3	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	1.44,5
4	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	2.23,3
5	იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი)	2.36,7
6	იანი პაასონენი (ფინეთი, შკოდა)	4.36,2
7	ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი)	5.51,0
8	ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, შკოდა)	6.03,2

საერთო ჩათვლა

1 სებასტიენ ლოები 66 ქულა; 2 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 44; 3 მარკო მარტინი 42; 4 მარკუს გრონჰოლმი 42; 5 კარლოს საინსი 40; 6 ფრანსუა დიუვალი 31; 7 მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) 18; 8 იანე ტუოინო 16; 9 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 14; 10 დანიელ კარლსონი (შვედეთი, პეჟო) 6

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 109 ქულა, ფორდი 83, სუბარუ 64, პეჟო 61, მიცუბისი 17, შკოდა 5

ახალ ზელანდიას თასი მოელანდა

REUTERS სიდნეიდან

ჯორჯ გრეგანისა და ჯასტინ ჰარისონის ავსტრალიამ კევინ მეალამუს ახალი ზელანდია მოაშთო

შაბათს ავსტრალიაში დიდი ამბავი დატრიალდა. სიდნეის „ტელსტრას“ სტადიონზე 3 ერის მესამე ავსტრალიურ მატჩს 82 000 ქომაგი დაესწრო. „ოზებს“ დაუძინებელი მტერები, ახალზელანდიელი „მაორები“ სტუმრობდნენ და ამ მატჩის მოგებით პირველობას ინაღდებდნენ. თუმცა, ეტყობა, მასპინძლების გეგმებში ეტყობა არ შედიოდა „მაორებთან“ ზედიზედ მეორე მარცხი. მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის ყიჟინით გამხნევებულმა „ვოლაბებმა“ საბოლოოდ თავისი გაიტანეს, მტერს კი არ გაატანინეს და ამით ტურნირს ინტერესი შეუნარჩუნეს. ახლა ხომ გამარჯვების შანსი მაჩანჩალა სამხრეთ აფრიკასაც კი გაუჩნდა.

მატჩი ახალზელანდიელთა შეტევებით დაიწყო. „შავებმა“ პირველივე წუთებზე ხელით იგდეს უპირატესობა და გულიანად შეუტიეს მეტოქეს. მალე კარტერმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ცოტა ხანში იმავ კარტერმა ვერ ივარგა ჯარიმის დარტყმისას, თუმცა ზელანდიელები დაწოლას აძლიერებდნენ და „ვოლაბებმაც“ შეცდომებს უხშირეს. შედეგად კარტერს კიდევ ორჯერ მოუხდა სტანდარტული სიტუაციიდან დარტყმა და ორივე შეტანა. მანამდე კი ავსტრალიელებმა კარგი შანსი გაუშვეს ხელიდან. მეტოქის ჩამოწოდებულ აუტს დაეუფლნენ და სახიფათოდ შეუტიეს, სტუმრებმა წესების დარღვევით შეაჩერეს, მაგრამ ჯარიმის გამოყენება მასპინძლებმა ვერ შეძლეს.

ტუკირიმ, რომელიც ამ მატჩში აშკარად აშკარად საუკეთესო იყო თავისი გუნდის რიგებში, მეტოქეს რამდენიმე შეცდომა დააშვებინა, რის შედეგაც, ისევ და ისევ, საჯარიმო დარტყმების წყალობით მასპინძლებმა სხვაობა 12:9 შეამცირეს. ამის შემდეგ მორიგი თამაშგარისას მსაჯმა ზელანდიელი ალი უილიამსი გააძევა და ჟიტომ ზედიზედ მესამე ჯარიმა დაარტყა ზუსტად.

პირველი ტაიმი 12:12 დასრულდა და 82 ათას ოზს ობიექტური შთაბეჭდილება დარჩა, რომ მეორეში მათ ავსტრალიას უფრო შეეძლო მომატება.

ასეც მოხდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ნახევარი საათის განმავლობაში მასპინძლებმა დიდი უპირატესობა იგდეს ხელთ. ჟიტოს ზუსტმა საჯარიმომ ავსტრალია წინ პირველად გაიყვანა — 15:12. ზელანდიელებს კიდევ ჰქონდათ გათანაბრების შანსი, თუმცა მთავარი დამრტყმელი კარტერი ტუიტუპუმ შეცვალა. მის არყოფნაში საჯარიმო სპენსერმა დაარტყა და გააცუდა, მაგრამ ცოტა ხანში შეცდომა გამოასწორა და ანგარიში მაინც გაათანაბრა — 15:15.

ასეთ თამაშს ლელოს გარეშე რა ფასი ექნებოდა და აკი გავიდა კიდეც. ავსტრალიელებმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტიეს და შეტევა მარცხნივ გაშალეს. დევიდ ლაიონზს რომ არ დაეხანებინა, ეგებ თვითონაც დაემიწებინა, თუმცა „მაორებმა“ მისი შებოჭვა მოასწრეს, ბურთი ტუკირის ჩაუვარდა, ისიც ფლანგზე გაიჭრა და თანაგუნდელის შეცდომა გამოასწორა. ბერკმა გარდასახვა ვერ გამოიყენა და ტაბლოზე 20:15 აინთო მასპინძელთა სასარგებლოდ.

„მაორები“ აბა, რისი „მაორები“ იქნებოდნენ, შუბები რომ დაეყარათ და გაშვებული ლელოს შემდეგ მათმა ლეგენდარულმა დამრტმელმა ენდრიუ მერთენსმა ერთხელაც შეამცირა სხვაობა. მატჩმაც თითქოს კულმინაციას უწია, თუმცა ბერკმა ყველაფერს წერტილი დაუსვა, როცა კიდევ ერთხელ მარჯვედ მოიქნია და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 23:18.

„მაორთავის“ ეს მარცხი პირველია გრეჰემ ჰენრის ხელში. ერთი ვის არ ეპატიება, მაგრამ გამარჯვებების მიუხედავად, მისი გუნდის თამაშით გულშემატკივარი მთლად კმაყოფილი არ უნდა დარჩეს — „შავებმა“ 3 ერის 3 მატჩში სულ 2 ლელოს გატანა მოახერხეს.

ლადო ფულუკიძე

6 აგვისტო. სიდნეი „ტელსტრა“

ავსტრალია 23:18 ახალი ზელანდია

ავსტრალია: 15 კრის ლეითემი, 14 კლაიდ რეთბოუნი (ვენდელ სპილორი), 13 სტერლინგ მორტლოკი (მეტიუ ბერკი), 12 მეტ [illegible], 11 [illegible], 10 [illegible] ლარქემი, 9 ჯორჯ გრეგანი (კაპ); 8 დევიდ ლაიონზი (ჯონ [illegible]), 7 [illegible], 6 ჯორჯ სმიტი, 5 ნათან შარპი (დანიელ ვიკერმანი), 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ბრენდან ქენონი (ჯერემი პოლი), 1 ბილ იანგი (მეტ დანინგი)

ლელო: ტუკირი; 6 საჯარიმო: ჟიტო (4), ბერკი (2)

ახალი ზელანდია: 15 მილს მულიაინა, 14 დაგ ჰოულეტი, 13 ტანა უმაგა (კაპ), 12 დანიელ კატერი (სემ ტუიტუპუ), 11 ჯო როკოკოკ; 10 კარლოს სპენსერი (ენდრიუ მერთენსი), 9 ჯასტინ მარშალი; 8 ხავიერ რაში (მოსე ტუიალიი), 7 მარტი ჰოლა, 6 ჯონო გიბსი, 5 ალი უილიამსი, 4 კრის ჯეკი, 3 კარლ ჰეიმანი, 2 კევინ მეალამუ, 1 ქიის მიიუსი (გრეგ სომერვილი)

6 საჯარიმო: კარტერი (4), სპენსერი, მერთენსი

TDK GOLDEN LEAGUE — ოქროს ლიგა. IV ეტაპი. ციურიხი. 6 აგვისტო

ფელიქსი და ორი კურდღელი



ფელიქს სანჩესი ფენიქსივით დაფრინავს

ოქროს ლიგის მეოთხე ეტაპმა მილიონი დოლარის ოქროს ზოდებისთვის მორბენალ, მხტომელ და მსროლელ მძლეოსნებს ერთი გამოაკლო. ციურიხში წინა სამი შეხვედრისგან განსხვავებით არ გაუმართლა ლიტველ ბადროს მტყორცნელ ვირგილიუს ალენკას. მილიონის წილში ჯდომა საკმარისი საბაბია, თავი რომ გამოიდო და ხელის მყესკუნთები არ დაზოგო. ალენკამაც ბადრო 69,22 მეტრზე გააფრიალა, რაც თავისთავად არ ჩაითვლება ურიგო შედეგად, მაგრამ ვირგილიუსს სულ ნახევარმა მეტრმა წაართვა ოქროს კბილით გასინჯვის შანსი — უნგრელმა რობერტ ფაზეკასმა მარჯვენა მასზე ძალუმად მოიქნია და ბადრო 69,77 მეტრს იქით დასცა.

ალენკას ჩამოშორების შემდეგ ოქროსთვის რბოლას ოთხი მძლეოსანიღა შერჩა. შეგახსენებთ, რომ მილიონის ღირებულ ოქროს ზოდებს ისინი გაიყოფენ, ვინც სერიის ექვსივე ეტაპზე დაუმარცხებლად ირბენს, გადახტება, ახტება და ა.შ.

მაშასადამე, დარჩა ოთხი: კონკურენტი და მოცილე, რა თქმა უნდა, ყველას ჰყავს, მაგრამ მათ არავინ იშორებს დომინიკელ ფელიქს სანჩესზე მარჯვედ. ეს მეტროს ბაცაცას შესახედაობის ჯელი ისე დარბის და დაფრინავს 400 თარჯებიან მეტრზე, რომ სამი წელია, მგონი, არსად წაუგია და საიტებსა თუ გაზეთებში მძლეოსნობის გვერდებზე მასზე მხოლოდ ქება-დიდებას ამოიკითხავთ. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი თან ყველას გაურბის და თან წელს ორ კურდღელს ერთად მისდევს. ლიგის ოქროები ხომ სურს (და ეკუთვნის კიდეც), თანაც — ხომ გახსოვთ — ერთ კვირაში ოლიმპიადა იწყება და იქაც ოქროს გამოედევნება. 26 წლისაა და შინ ჯერ არ მიუტანია ოლიმპიური მედალი. არადა, ედვინ მოუზერს ადარებენ, 1976 და 1984 წლების ოლიმპიურ ჩემპიონს და თუ ასე ირბინ-იფრინა, წლების მერე უკვე თავად გახდება ეტალონი.

ციურიხში ის კვლავ ჩამოსცდა გროსმაისტერულ ზღვარს — 400 თარჯებიანი მეტრი 48 წამზე ნაკლებში დაფარა და ეს წლეულს უკვე მესამედ მოახერხა. მის შედეგს — 47,92 წამს 0,16-ით ჩამორჩა ამერიკელი ბერშონ ჯეკსონი და 0,29-ით ასევე ამერიკელი ჯეიმს კარტერი.

მივადექით კიდევ ერთ ოქრობიჭს, შვედ სამმხტომელ კრისტიან ოლსონს, ვინაც ლეგენდარული ბრიტი მღვდელის ჯონათან ედვარდსის სარბიელიდან წასვლის შემდეგ მთლად მარტო არ დახტის, მაგრამ ძირითადად ის იმარჯვებს, მით უმეტეს, ოქროს ლიგაში. ოლსონმა ციურიხში ცდა არ გააფუჭა და თავისთავად ამ სამიდან საუკეთესო შედეგი — 17,46 მეტრი ჩაეწერა, მაგრამ უარესითაც (17,39) აჯობა კონკურენტებში ყველაზე ყოჩაღ, ამერიკელ კენტა ბელს (17,38).

ოქრო ქალბატონებსაც უყვართ და მის ხელში ჩასაგდებად და ანგარიშზე დასადებად კაცებზე არანაკლებ იკლავენ თავს. დარჩენილი ოთხი პრეტენდენტიდან ორი ქალია, ბაჰამელი 400-მეტროსანი ტონიკ უილიამს-დარლინგი და სამხრეთაფრიკელი სიმაღლეზე მხტომელი ჰესტრი ხლოეტი. ციურიხში ორივემ დაამტკიცა, რომ ოქროს მარაქაში ტყუილად არ ურევიან და ბაჰამელმაც და აფრიკელმაც ულაპარაკოდ მოიგო. უილიამს-დარლინგმა 400 მეტრი 49,73 მეტრში გაირბინა და წლევანდლამდე ამ დისციპლინის ლიდერ და თავადც ოქროგასინჯულ მექსიკელ ანა გევარას ფინიშთან თითქმის ნახევარი წუთით (!) მიასწრო.

ხლოეტსაც არაფერი უჭირდა, დაიწყო ტრადიციული 185 სანტიმეტრიდან, ბოლოს ელეგანტურად გადაევლო მიწიდან 204 სანტიმეტრზე, გადებულ თამასას და ხორვატი ბლანკა ვლაშიჩი სადღაც ორ მეტრზე დატოვა.

კოტე ყორღია

კანოელთა შეჯიბრი

მდინარე სელაზე 1800 კანოე ირწევა. ცოტაც და ესპანური შეჯიბრი დაიწყება: ქვეყნის ჩრდილოეთში, ასტურიაში 17 ქვეყნის ნიჩბოსნები შეკრებილან, რათა 10 კილომეტრიან კანოელთა შეჯიბრში ჩაებან.



REUTERS არქივიდან

სიდნეული

ეს არც მიტინგია და მით უფრო არც ნოემბრის რევოლუცია. ეს სიდნეის ტრადიციული გარბენია, რომელშიაც წლეულს ბარე 60 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. რბენა ქალაქის ცენტრიდან დაიწყო და განთქმულ ბონდი ბიჩზე დასრულდა.



REUTERS სიდნეიდან

REUTERS ბაღდადიდან

წაგების შემდეგ

ძალიან კი უნდოდა კომუნისტურ ჩინეთს, რომ ფეხბურთში ეძლია იაპონია და აზიის თასი მოეგო, მაგრამ ზიკოს მესაჭეობით იაპონელებმა შუა პეკინში, მუშათა სტადიონზე დასცეს მასპინძლები და აზიის ჩემპიონობა მოიპოვეს. მაგრამ ამას არ შეეგუა ჩინელი ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად არაკომპავშირულად გაისარჯა და არაერთი ჩხუბიც მოუხდა სახალხო მილიციასთან, რომელმაც ხელი ჯიბეში არ დამალა და გვარიანიც მოარტყა იმედგაცრუებულ და განაწყენებულ ქომაგებს. ამავე ყაიდის ჯეელებმა თამაშის წინა ღამეს ნამდვილი ღრიანცელი მოაწყვეს იაპონელთა სასტუმროს წინ.



REUTERS ბონნიდან

REUTERS ბონნიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის **რედაქცია:** დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის **რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge